აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№ 99 (24.979) სამშაბათი, 13 - 14 სექტემბერი, 2022 წ. 50 თეთრი

ბათუმს აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნების პარლამენტების თანამშრომლები სტუმრობენ

ბათუმი აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნების პარლამენტების აპარატის თანამშრომლების რიგით მესამე შემოდგომის აკადემიას - „სტრატეგიული დაგეგმვა და შესრულებული სამუშაოს შეფასება“ მასპინძლობს.

ღონისძიება აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ, საქართველოს პარლამენტის აპარატის ხელმძღვანელმა ქეთევან კვინიკაძემ და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) საჯარო მმართველობის აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონული ფონდის პროექტის „თანამედროვე და ძლიერი პარლამენტის აპარატი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ მენეჯერმა თამარ ზოდელავამ გახსნეს.

- მსგავსი ღონისძიებები გვეხმარება განვსაზღვროთ, თუ სად იმყოფება კონკრეტული სტრუქტურა დღეს, სად ვხედავთ მომავალში ჩვენს თავს და რა არის საჭირო წარმომადგენლობითი ორგანოების ადმინისტრაციების გაძლიერებისთვის, სტრატეგიული მიზნების მიღწევისთვის. ეს ჩვენთვის არის შესაძლებლობაც და გამოწვევაც, ჩვენ გვიწევს რამდენიმე ქვეყნის ცენტრალური პარლამენტების თანამშრომლებთან ერთად არსებული მდგომარეობის და სტრატეგიული გეგმების განსაზღვრა. დარწმუნებული ვარ, საშემოდგომო აკადემია ხელს შეუწყობს საკანონმდებლო ორგანოების სტრუქტურების განვითარება-გაძლიერებას, - აღნიშნა დავით გაბაიძემ.

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნების პარლამენტებს შორის ჩამოყალიბებული რეგიონული თანამშრომლობის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და საქართველოს პარლამენტს მადლობა გადაუხადა მჭიდრო თანამშრომლობისთვის.

- აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნების პარლამენტების აპარატებს შორის „თბილისის მემორანდუმით“ ჩამოყალიბებული რეგიონული თანამშრომლობის ფარგლებში გამართული ღონისძიებებიდან, პანდემიით გამოწვეული პაუზის შემდგომ, შემოდგომის აკადემიის გამართვა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნების პარლამენტების აპარატების ქსელის ეფექტიან და მჭიდრო თანამშრომლობას, - განაცხადა საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსმა ქეთევან კვინიკაძემ.

აკადემია, რომელიც 16 სექტემბრამდე იმუშავებს, სტრატეგიული დაგეგმარებისა და შესრულების შეფასების საკითხებს დაეთმობა და რამდენიმე სესიად წარიმართება. მონაწილეებს გამოცდილებას გაუზიარებენ აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნების პარლამენტების ადმინისტრაციების წარმომადგენლები, რეგიონული პროექტების ხელმძღვანელები და საერთაშორისო ექსპერტები. ღონისძიება საქართველოს პარლამენტის აპარატის ინიციატივით, აჭარის უმაღლეს საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობით და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით ხორციელდება.

ია შველიძე

რეგიონის დელეგაცია – მასშტაბურ ფორუმზე

პოლონეთი ყოველწლიურად ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ეკონომიკურ ფორუმს მასპინძლობს. კარპაჩის 31-ე ფორუმში - „ევროპა ახალი გამოწვევების წინაშე,“ რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან 4000 დელეგატი ესწრებოდა, აჭარის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია დავით გაბაიძის მეთაურობით, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე, ქედის მერი როლანდ ბერიძე მონაწილეობდნენ.

ვიზიტის ფარგლებში, ქართული დელეგაციის წევრები ქვემო სილეზიის სავოევოდოს მარშალ ცეზარ ფშიბილსკის, ვიცე-მარშალ მარჩინ კჟიჟანოვსკის, ვროცლავის მერ იაცეკ სუტრეკს, სხვა ოფიციალურ პირებს შეხვდნენ. შეხვედრებზე ყურადღება გამახვილდა ორი მეგობარი და პარტნიორი ქვეყნის რეგიონებს შორის მეგობრულ, ეკონომიკურ, საქმიან ურთიერთობებსა და ერთობლივ პროექტებზე.

- ფორუმი, რომელიც ყოველი წლის სექტემბრის დასაწყისში იმართება, ყველაზე მასშტაბურია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში და 4000-ზე მეტ პოლიტიკურ ლიდერს აერთიანებს. ამჯერად, პოლიტიკის, ეკონომიკის, ადგილობრივი ხელისუფლების, კულტურისა და მეცნიერების ცნობილმა წარმომადგენლებმა, ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და მათ მეზობლებს შორის პოლიტიკურ-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებისათვის ხელსაყრელი კლიმატის შექმნაზე იმსჯელეს. მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესებში ჩვენი რეგიონი ღირსეულად იყო წარმოდგენილი და მონაწილეობდა ეკონომიკური საკითხების განხილვაში, - აღნიშნა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ.

აჭარის დელეგაცია, რომელსაც უშუალოდ ქვემო სილეზიის მარშლის ოფისი მასპინძლობდა, რეგიონულ საინვესტიციო გამოფენასა და ეკონომიკურ საკითხებზე გამართულ პლენარულ სხდომებს, ასევე სკლარსკა პორებაში ქვემო სილეზიის სპორტული ცენტრის გახსნის ოფიციალურ ღონისძიებას დაესწრო.

ვიზიტის ფარგლებში ქალაქ ბარდოს კომუნაში ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ და აღნიშნული ქალაქის მერმა კრიშტოფ ჟეგანსკიმ პარტნიორული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას მოაწერეს ხელი.

დოკუმენტზე ხელმოწერის ღონისძიებას ქალაქ ბარდოს კომუნაში აჭარის დელეგაცია დაესწრო. ხელმოწერამდე, ბარდოს კომუნის საბჭოს სხდომაზე, შეთანხმება კანონმდებლებმა ერთხმად დაამტკიცეს. სხდომას აჭარის დელეგაციის წევრებიც ესწრებოდნენ.

6-მუხლიანი დოკუმენტი, პოლონეთისა და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით გამოცდილების გაზიარებას, თვითმმართველობის განვითარების ხელშეწყობას, ევროკავშირის ფონდებიდან, კომუნალური და საერთაშორისო პროგრამებიდან რესურსების გამოყენებას, ტურიზმის, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა სფეროებში აქტიურ თანამშრომლობას ითვალისწინებს. ამასთან, მხარეებს შორის პერიოდულად გაიმართება ორმხრივი შეხვედრები.

ქედის მერი როლანდ ბერიძე ქედის მუნიციპალიტეტის კულტურული, ტრადიციული, ტურისტული პოტენციალისა და ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ მოკლე პრეზენტაციით წარსდგა.

ბათუმის, შუახევისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების შემდეგ, ქედა რიგით მეოთხეა, რომელთანაც პოლონურმა მხარემ შეთანხმება გააფორმა.

ელენე საყვარელიძე

«ყველა მცდელობას, რომ კარგი საქმე გააშავონ, ჩვენ მხოლოდ საჭირო საქმის კეთებას და კანონის აღსრულებას დავუპირისპირებთ»

3

ბარამოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 23-28, მაღალ მთაში - 13-18 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 26 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 753 მილიმეტრი.

ხვალ მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა ელჭექით, მომდევნო 2 დღეს - უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში პიტერ ფიშერს შეხვდა. გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველო-გერმანიის ურთიერთობებს და თანამშრომლობის პერსპექტივებს. „ყურადღება გამახვილდა გერმანიის მხარდაჭერის მნიშვნელობაზე საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ასევე ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის თვალსაზრისით“, - აღნიშნულია მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

* * *

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საქსონია-ანჰალტის პარლამენტის პრეზიდენტ გუნარ შელენბერგერს შეხვდა. მხარეებმა საქართველოსა და გერმანიას შორის არსებულ მდიდარ ისტორიულ-კულტურულ კავშირებზე, ასევე, დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენიდან 30 წლისთავზე ისაუბრეს. მიმოიხილეს არსებული თანამშრომლობის პროექტები და პარტნიორობის გაღრმავების შესაძლებლობები.

* * *

საქართველო ბელგიაში თავშესაფრის მთხოვნელთა რაოდენობით ათეულში შედის, - ამის შესახებ თავშესაფრისა და მიგრაციის საკითხებში ბელგიის სამეფოს სახელმწიფო მდივნმა ნიკოლ დე მურმა განაცხადა. „მიმდინარე წლის ივლისის ჩათვლით, საქართველოდან ბელგიაში თავშესაფრის მთხოვნელთა რაოდენობამ 613 შეადგინა. მნიშვნელოვანია მოსახლეობას მივაწოდოთ ინფორმაცია, რომ თავშესაფარი ეკონომიკური ფონის გამო არ გაიცემა“, - აღნიშნა ნიკოლ დე მურმა.

* * *

თუ „ქართული ოცნება“ ე.წ. ოთხეულის პოზიციას ემიჯნება, ისინი უმრავლესობაშიც არ უნდა ჰყავდეთ,- ასე გამოეხმაურა „ევროპული საქართველოს“ გენერალური მდივანი აკაკი ბობოხიძე ე. წ. ოთხეულის საპარლამენტო უმრავლესობის გასვლით სხდომაში მონაწილეობას. მისი თქმით, „უმრავლესობაში ერთად ყოფნა ნიშნავს, რომ გარკვეულწილად პასუხისმგებლობას იღებ უმრავლესობაში მყოფი პარტნიორების განცხადებებზეც, განსაკუთრებით, როცა ეს პოზიციები სტრატეგიულ პარტნიორებთან დამოკიდებულებას ეხება“. ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძის განცხადებით, მათ (ოთხეულმა) დატოვეს ფრაქცია, პარტია და საპარლამენტო თანამდებობები, თუმცა უმრავლესობის წევრებად რჩებიან.

მოამზადა ია შველიძემ

დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

მინისტრი აზერბაიჯანის გენერალურ კონსულს შეხვდა

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე აზერბაიჯანის გენერალურ კონსულ პარვიზ ისმაილზადას შეხვდა. შეხვედრას აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე გიორგი რომანაძე, მინისტრის მოადგილე გიორგი სურმანიძე, დონორებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი მაკო თავდგირიძე, აზერბაიჯანში მოქმედი კომპანიების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, რომლებიც აჭარაში ინვესტირებით არიან დაინტერესებულნი.

მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავებაზე ისაუბრეს.

ჯაბა ფუტკარაძემ კომპანია „კასპიან ენერჯი კლაბ“-თან აჭარის საინვესტიციო პოტენციალზე გაამახვილა ყურადღება, აჭარაში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები განიხილა.

ანკა ჩხიკვაძე

ბათუმიდან – სილიკონის ველამდე

ბათუმში სტარტაპ მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ეროვნული კონკურსი ჩატარდა, რომელშიც ათი საუკეთესო ქართული სტარტაპი მონაწილეობდა. პროექტი Startup World Cup Georgia განახორციელა Startup Connect-მა და USMAC-მა ევროკავშირის (EU), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსა (GITA) და ბათუმის მერიის მხარდაჭერით.

Startup World Cup მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური შეჯიბრია სტარტაპებისთვის, რომლის საპრიზო ფონდი 1 მილიონ დოლარს შეადგენს. გამარჯვებული სტარტაპი მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ღონისძიებაში.

კონკურსის მიზანია საქართველოში სტარტაპების განვითარებისა და გაძლიერების ხელშეწყობა. იგი ქმნის უნიკალურ პლატფორმას ყველა ინოვაციური სტარტაპისთვის, რათა მოიპოვონ დაფინანსება და გახდნენ წარმატებულნი. გარდა ამისა, ხელს უწყობს ახალი და წამყვანი მეწარმეების აღმოჩენასა და მათ გაერთიანებას ერთ სივრცეში.

SWC Georgia ხორციელდება ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) - „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში, რომლის მიზანია, განისაზღვროს მომავალი ეკონომიკური ზრდის სფეროები და დაინერგოს პრაქტიკული სწავლების მეთოდით. ბათუმი მიზნად ისახავს ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციასა და განვითარების ხელშეწყობას.

ბათუმში გამართული ღონისძიების მონაწილეებს სხვებთან ერთად სიტყვით მიმართა ქალაქის მერმა არჩილ ჩიქოვანმა:

- ბათუმში მსოფლიოში ყველაზე დიდი სტარტაპის კონკურსი იმართება. მისასალმებელია, რომ პროექტში ქართველი სტარტაპებიც აქტიურად იყვნენ ჩართულები. ღონისძიება საშუალებას აძლევს მეწარმეებს, გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები და წარმოადგინონ საკუთარი ინოვაციები. ბათუმის მერიამ, „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამასთან თანამშრომლობით, დაიწყო მუშაობა მუნიციპალური ტრანსფორმაციის პორტფელის მომზადებაზე. პროექტის ფარგლებში შეირჩა კონკრეტული სფერო - სტარტაპ ეკოსისტემის განვითარება ბათუმში, რომლის მიზანია ურბანული იდენტობის განახლება და მეწარმეობის კულტურის მხარდაჭერა.

ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობთ, რომ გამოვიყენოთ სხვადასხვა შესაძლებლობა და არსებული პარტნიორული კავშირები, რათა შევიმუშაოთ და დინამიკურად ვმართოთ პორტფოლიოს განვითარების ეტაპები და შევქმნათ ინფორმაციის გავრცელებისა და ხელმისაწვდომობის მდგრადი და მოქნილი სისტემა.

ჩვენ გვაქვს მოლოდინი, პროექტის განხორციელების შემთხვევაში, შევინარჩუნოთ ადგილობრივი ნიჭიერი ახალგაზრდები, მოხდეს შრომის ბაზრის და ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაცია, ბათუმი იქცეს მეორე სტარტაპ დედაქალაქად და მაქსიმალურად მხარი დავუჭიროთ მეწარმეობისა და ინოვაციების კულტურას. ზემოხსენებული მიზნების მისაღწევად, შემუშავდა სხვადასხვა მიმართულება - მუნიციპალური კადრების გაძლიერება, სტარტაპ განათლების ხელშეწყობა, საინფორმაციო ჰაბის, ქსელური კავშირებისა და ახალგაზრდული სივრცის შექმნა.

მჯერა, რომ UNDP-ის, Cora foundation-ის, GITA-ისა და სხვა პარტნიორების ჩართულობით, ეს პროექტი წარმატებით განხორციელდება, - აღნიშნა არჩილ ჩიქოვანმა.

საერთაშორისო ჟიურიმ პირველობა და სილიკონის ველზე გლობალურ ნახევარფინალში გამგზავრების შესაძლებლობა კომპანია Theneo-ს მიანიჭა, რომელიც მაღალი ხარისხის, ინტერაქტიული API დოკუმენტაციის შექმნაზე მუშაობს. კონკურსის გამარჯვებული 100-ზე მეტი პოტენციური ინვესტორის წინაშე წარსდგება და მსოფლიოს სხვა სტარტაპებს მთავარი პრიზის მოსაპოვებლად შეეჯიბრება, რაც 1.000.000 აშშ დოლარის ინვესტიციას გულისხმობს.

კონკურსის მსოფლიო ფინალი 2022 წლის 30 სექტემბერს ლოს - ანჟელესში გაიმართება, სადაც მთავარი პრიზის მოსაპოვებლად 70-ზე მეტი ქვეყნის საუკეთესო სტარტაპები იბრძოლებენ.

ანკა ჩხიკვაძე

წყალმომარაგების გასაუმჯობესებლად

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

წლევანდელმა გვალვებმა შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი და სარწყავი წყლების დეფიციტი შექმნა. საშვილიშვილო საქმე გაკეთდა სოფელ გორში, როცა მერის პირველი მოადგილის მირიან აბაშიძის ჩართულობით, არტეზიული ჭა ამოქმედდა და 30-ზე მეტმა ოჯახმა სასმელი წყალი მიიღო

წელს შუახევში სასმელი წყლის სისტემის გაუმჯობესებისა და მოსახლეობის წყალმომარაგების მიზნით, 453 000 ლარამდე დაიხარჯება, განხორციელდება 10-ზე მეტი პროექტი. სამუშაოების დასრულების შემდეგ, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 900-ზე მეტ ოჯახს სტაბილური წყალმომარაგება ექნება. ამ ეტაპზე სამუშაოები რამდენიმე ლოკაციაზე მიმდინარეობს.

პაპოშვილების სასმელი წყლის მაგისტრალზე სამუშაოებს შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, მერის მოადგილე გურამ ზოიძე საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად გაეცნენ.

- პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სასმელი წყლის ახალი სათავე ნაგებობისა და გამანაწილებელი აუზის მშენებლობა. ამ ეტაპზე მიწის გრუნტის დამუშავება და წყლის მილების ჩაწყობა მიმდინარეობს. პროექტი ორწლიანია და მისი საერთო ღირებულება 221 120 ლარია, - გვითხრა ომარ ტაკიძემ.

დანდალოს ცენტრი სახეს იცვლის

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

დანდალოს ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციული შენობის და ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. მოძველებულ შენობაში დანდალოს პირველადი ჯანდაცვის ცენტრი, ბაგა-ბაღი და ადმინისტრაციული ოფისია განთავსებული. მათთვის განკუთვნილი ფართობები მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა. ადგილობრივი ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი თანხა გამოიყო სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის, რომელსაც „მშენებელი 2020“ აწარმოებს. პროექტის ფარგლებში მთლიანად შეიცვლება კანალიზაციის სისტემა, ელექტროგაყვანილობა, დამონტაჟდება გათბობის ქვაბი. შენობა მთლიანად გარემონტდება თანამედროვე სტანდარტებით და ადაპტირებული იქნება შშმ პირებისთვის. დანდალოს ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას შეეძლება ერთ სივრცეში ისარგებლოს სხვადასხვა, მისთვის საჭირო სერვისით.

აქტიურად მიმდინარეობს დანდალოს ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები, რომლის ფარგლებში რეაბილიტაცია უტარდება კიბეებს, დაიგება ბუნებრივი ქვის ფილები, გაკეთდება ლამპიონები, დაიგება ქვაფენილები, შეკეთდება მემორიალური დაფა და მგზავრთა მოსაცდელი. შეიქმნება კიდევ ერთი დასასვენებელი სივრცე, სადაც განთავსდება ხის სკამები, დამონტაჟდება გარეგანათება.

- გავეცანით არსებულ ვითარებას. კონკურსში გამარჯვებული კომპანიის ხელმძღვანელები სამუშაოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და ხარისხიანად დაასრულებენ, - გვითხრა ქედის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილე იმედა ვასაძემ.

ამბები

შაბათ-კვირის ქრონიკა

ხელვაჩაურში, მიხეილ ჯავახიშვილისა და ივანე მესხის ქუჩებსა და მიმდებარე ჩიხებში, ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობა მიმდინარეობს, რომლითაც 500-მდე აბონენტი ისარგებლებს. აღსანიშნავია, რომ წყალმომარაგების ცენტრალური ქსელის მოწყობის სამუშაოები დასრულდა მაჭავარიანის ქუჩასა და ჩიხებში, რომლითაც 2000-მდე აბონენტი ისარგებლებს. ბოლო ერთი წლის განმავლობაში „ბათუმის წყალის“ მიერ ქალაქისა და შემოერთებული ტერიტორიების მასშტაბით დაახლოებით 18 კმ ახალი წყალმომარაგების ქსელი მოეწყო.

* * *

„ასწავლე საქართველოსთვის“ - პროგრამის მონაწილე კონსულტანტ-მასწავლებლებს სერტიფიკატები გადაეცათ. დღეისათვის საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა მაღალმთიანი რეგიონ-

ის საჯარო სკოლებში მენტორის, წამყვანი და უფროსის სტატუსის მქონე, 13 საგნობრივი მიმართულების 156 კონსულტანტ-მასწავლებელი ასწავლის. პროგრამა ჯამში 10 რეგიონის, 26 მუნიციპალიტეტის 84 საჯარო სკოლასა და 6869 მოსწავლეს მოიცავს.

* * *

ბათუმის ტექნოპარკში საქართველოს სქილვილ აკადემიის წარმომადგენლებმა პროგრამირების შესწავლის მსურველებისთვის ღია კარის დღე მოაწყვეს. როგორც აკადემიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, აკადემიაში დისტანციური სწავლებით შესაძლებელია პროგრამისტი დეველოპერების მომზადება, რომლებზეც მოთხოვნა არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებშია. პროგრამირების კურსი 7-თვიანია და კურსის მთლიანი ღირებულება 600 ლარს შეადგენს.

* * *

ბათუმში ჩატარდა საქართველოს თასის გათამაშება უძლიერეს მამაკაცთა შორის, ე.წ. „სტრონგმენი“. ასპარეზობა ორ დისციპლინაში - მოუხერხებელი მორის აწევასა და შტანგის ამოწევაში გაიმართა. სხვადასხვა კატეგორიასა და დისციპლინაში გამოვლინდნენ გამარჯვებულები, პრიზიორები და რეკორდსმენები, რომლებიც თასებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ. ტურნირი საქართველოს ძალისმიერი სპორტის სახეობების ალიანსის მიერ იყო ორგანიზებული.

* * *

ბათუმის ქვიშის მოედანზე დასრულდა ტურნირი ფრენბურთში - „ოქროს ბურთი“. შეჯიბრებაში საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან 22 წყვილი მონაწილეობდა, ამათგან ოთხი - ბათუმური იყო. ტურნირის გამარჯვებული ბათუმელების, საბა აბუსერიძისა და მერაბ დოლიძის წყვილი გახდა, რომელმაც ფინალში თბილისელების, ნიკა მჭედლიძისა და გიორგი გოგლიძის ტანდემი დაამარცხა, მესამე ადგილზე ასევე ბათუმური წყვილი გავიდა გიორგი ნინიძისა და ნიკა გორდელაძის შემადგენლობით.

მოამზადა
ნათია იმნაიშვილმა

„ყველა მცდელობას, რომ კარგი საქმე გააშავონ, ჩვენ მხოლოდ საჭირო საქმის კეთებას და კანონის აღსრულებას დავუპირისპირებთ“

ცხადია, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს რეგიონის ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოზიცია უჭირავს. ჩვენი ინტერესიც, როგორ უყურებს და წყვეტს იგი ამ კუთხისთვის საჭირბოროტო საკითხებს, ბუნებრივია. ეს ინტერვიუც ***ჯაბა ფუტკარაძესთან*** *სწორედ ამ ინტერესის შედეგია.*

- ინვესტიციების მოზიდვას ჩვენი ქვეყნისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა რომ აქვს, აჭარის რეგიონში გამართული არაერთი ბიზნეს-ფორუმიც ადასტურებს, რა კეთდება ინვესტორებისთვის მიმზიდველი გარემოს შესაქმნელად ჩვენს რეგიონში?

- მოგეხსენებათ, ინვესტიციები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთვის. ინტერესი ქვეყნის და განსაკუთრებით აჭარის მიმართ ძალიან დიდი და მზარდია. საქართველო არის ერთ-ერთი არცთუ ისე ბევრ ქვეყანას შორის, რომელიც პანდემიური სტაგნაციიდან ასე სწრაფად გამოვიდა. თუ გადავხედავთ აშშ-ს, ჩინეთს, ევროკავშირის ქვეყნებს, ტურისტული პოტენციალის, უძრავი ქონების მიმართულებით პრაქტიკულად ყველას აქვს სირთულეები, ზოგი მათგანი შესულია სტაფლაციაში - მდგომარეობაში, როცა ეკონომიკური აქტივობა იკლებს, ფასები იზრდება და ძალიან ბევრი მტკივნეული ღონისძიების გატარება ხდება საჭირო. ცენტრალურმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ გავატარეთ სწორი პოლიტიკა, რათა ქვეყანა პოსტკოვიდური მდგომარეობიდან უმტკივნეულოდ გადასულიყო სწრაფი ეკონომიკური ზრდის ეტაპზე. პრაქტიკულად ყველა მაკროეკონომიკური პარამეტრი უჩვენებს იმას, რომ 2019 წელთან შედარებით არა მარტო აჭარაში, ქვეყნის მასშტაბით ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვაქვს. ეს აუცილებლად გაგრძელდება წლის განმავლობაში და აჭარის მასშტაბით მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას დაახლოებით 18 პროცენტზე მეტით ველოდებით. შესაბამისად, უცხოელი ინვესტორებისთვის საქართველო მოიაზრება ერთ-ერთ საინტერესო მიმართულებად. რისკებისა და ამონაგების ურთიერთშედარებით ისინი იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებას და ამ თვალსაზრისით საქართველო საკმაოდ კარგ პოზიციაზეა. ამას ემატება სხვადასხვა საერთაშორისო რეიტინგი ბიზნესის ხელშეწყობის თვალსაზრისით - მისაღები საინვესტიციო გარემო, უსაფრთხოება, ბიზნესის რეგისტრაციის ყველა მიმართულებით იგრძნობა ხელშეწყობა. პრაქტიკულად, ყველა ბიზნესმენი დამოუკიდებელია იმ საქმეში, რომელსაც კანონის ფარგლებში კონკრეტულ ლოკაციაზე ახორციელებს. ძალიან ცოტა შეზღუდვა გვაქვს უშუალოდ ლოკაციებთან მიმართებაში. რა თქმა უნდა, სადაც ტურისტული ზონაა, იქ ქარხანას არავინ ჩაადგმევინებთ, მაგრამ გამოყოფილი გვაქვს შესაბამისი ადგილები და ყველა სექტორის წარმომადგენელს შეუძლია თავისი ბიზნესის განვითარებისთვის იპოვოს ის ხელშემწყობი ფაქტორები, რაც მათ საქართველოსკენ და ამ შემთხვევაში ბათუმისკენ, ქობულეთისკენ, მაღალმთიანი აჭარისკენ მოიზიდავს. საკმაოდ საინტერესო საინვესტიციო მიმართულებები გვაქვს, რაც აქ შემოსვლისკენ უბიძგებს მათ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით სამჯერ და უფრო მეტადაა გაზრდილი. ესაა პირდაპირი მაჩვენებელი იმისა, რომ უცხოელი ინვესტორები საკმაოდ კომფორტულად გრძნობენ თავს საქართველოში და აგრძელებენ კაპიტალდაბანდებებს. ბოლო წლებში ტენდენციად იქცა რეინვესტირების მაჩვენებლის ზრდაც. ცხადია, რომ ინვესტორი, რომელიც შემოვიდა, დაიწყო ბიზნესი და გაერკვა აქაურ გარემოში, სხვა პროექტებზეც გადავიდა, ანუ იმ ფულს, რაც მას ჰქონდა შემოტანილი და შესაბამისად მიღებულ ამონაგებს ისევ აბრუნებს, არ გააქვს, რაც ჩვენი ქვეყნისადმი ინტერესის ზრდას ადასტურებს. დღეის მდგომარეობით კერძო სექტორის არცერთი პროექტი არაა შეჩერებული, რომლებიც წლების განმავლობაში ხორციელდება, პანდემიის განმავლობაში იყო მხოლოდ შენელების პერიოდი. დღეს უფრო მეტ აქტივობას ველოდებით და პროექტების აბსოლუტური უმრავლესობა ან დასკვნით ფაზაზეა, ან საკმაოდ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ყოველდღიურ რეჟიმში ღიად, გამჭვირვალედ, აუქციონის წესით სთავაზობს ახალ აქტივებს, ძირითადად, მიწის ნაკვეთებზეა საუბარი. ამ აუქციონში როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ ინვესტორს შეუძლია მონაწილეობა, რასაკვირველია, გარკვეული პირობებით - აუცილებელია საინვესტიციო კაპიტალის განსაზღვრული მოცულობა, ასევე მნიშვნელოვანია, რა მიმართულებით, რა ფუნქციებით ახორციელებს ბიზნესს და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ადგილობრივი მოქალაქეების დასაქმება. პრაქტიკულად, ეს სამი შემადგენელი ფაქტორია, რაც სახელმწიფოს აზღვევს ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით და ხელს უწყობს მოქალაქეების დასაქმებაში, აგრეთვე ბიზნესის მიმართულებითაც. ინვესტორებმა წინასწარ იციან, რა პერიოდში რა აქვთ გასაკეთებელი და რა მოხდება, თუ ვერ შეასრულებენ ვალდებულებებს.

- ასეთი შემთხვევები თუ ყოფილა და რა რეაქცია მოჰყოლია სახელმწიფოს მხრიდან?

- რა თქმა უნდა. აქ უნდა აღვნიშნო ჩვენი გუნდის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, რომელიც 2018 წლის სექტემბერში მივიღეთ და შემდეგ დადგენილების სახეც მივეცით - პრაქტიკულად, ყველა პროექტი, ყველა ვალდებულება, რომელიც კერძო სექტორს ჰქონდა აღებული სახელმწიფოს წინაშე, მოექცა ამ ერთიანი ჩარჩო დოკუმენტის ფარგლებში. მოგეხსენებათ, წლების განმავლობაში გაჩერებული იყო არაერთი პროექტი, მწარმოებლებს და პროექტების განმახორციელებლებს ერიცხებოდათ ჯარიმები, მათ არ იცოდნენ, რა ექნათ, რადგან ხშირ შემთხვევაში, იმდენი ჯარიმა გროვდებოდა, შეუძლებელი ხდებოდა გადახდა და გადახდის შემთხვევაშიც პროექტს მომგებიანობისა და ფინანსური მდგრადობის თვალსაზრისით შესაძლოა აზრიც აღარ ჰქონოდა. ჩვენ მიერ შემუშავებული წესის შედეგად, პრაქტიკულად, ყველა ეს პროექტი, 130-ზე მეტი, ამოქმედდა. როგორც აღვნიშნე, პანდემიის დროსაც კი ამ პროექტების აბსოლუტური უმრავლესობა ჩვეულებრივი ტემპით მიმდინარეობდა. ჩვენ შევიმუშავეთ მექანიზმი, რომლითაც დაცული იყო როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის ინტერესები. პირობები მარტივია - თუ არღვევთ გარკვეულ ვალდებულებებს, დროში ვერ ჩაეტიეთ, უნდა წარმოადგინოთ გარანტია (შესაბამისი მოცულობის თანხა), რა თქმა უნდა, ეს თანხა გამოითვლება დადგენილი ფორმულით. ინვესტორისგან ამ გარანტიისა და ახალი ვადების წარმოდგენის შემდეგ, ვიმსჯელებთ, რამდენად რეალისტურია ისინი. უმრავლეს შემთხვევაში კომპანიებს ჰქონდათ რეალისტური ვადები და ამ შემთხვევაში წესის შესაბამისად ჩერდება ჯარიმების, პირგასამტეხლოების დარიცხვა და ეძლევათ ახალი ვადები პროექტების შესასრულებლად. ამ დადგენილების შედეგად დაახლოებით ორი მილიარდი ლარის ღირებულების პროექტები განახლდა. შემიძლია ვთქვა, რომ ამ წესის ფარგლებში ყველას ერთნაირი მიდგომით მივეცით დამატებითი ვადები, რათა პანდემიის პერიოდი გადაელახათ.

- ამ მხრივ ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორები ერთნაირ პირობებში არიან?

- დიახ და ესეც არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რის გამოც უცხოელი ინვესტორებისთვის საქართველო საინტერესოა. ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა იცავს და ათანაბრებს აღებული ვალდებულებების ნაწილში ქართველ და უცხოელ ინვესტორებს. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი აგრეთვე, რამაც განსაკუთრებულად კარგად იმუშავა პანდემიის დროსაც და ჩვეულებრივ პირობებშიც, არის ის, რომ ბიზნესისთვის ფინანსური ხელმისაწვდომობა გაიზარდა... კერძო სექტორის წარმომადგენლებს მივეცით დამატებითი ბერკეტი - გარანტიის წარმოდგენის ნაწილში, დამატებითი ვადების ნაწილში, აგრეთვე რიგ შემთხვევებში გავათავისუფლეთ იჯარის გადასახადისგან.

- რა შემთხვევაში მიეცით ამის საშუალება?

- ყველა, ვისაც ჩვენთან ჰქონდა ქონება აღებული იჯარით, გავათავისუფლეთ იჯარის საფასურისგან. აგრეთვე მივიღეთ წესი, რომლის საფუძველზეც იმ კომპანიებს, რომლებსაც ჰქონდათ საბანკო გარანტია წარმოდგენილი და ნახევარზე მეტი საინვესტიციო ვალდებულება შესრულებული, ჩვენ გავუთავისუფლეთ პროპორციულად საბანკო გარანტია, რამაც მათ დამატებით ფინანსური რესურსი გაუჩინა, რათა ეს რესურსი ისევ ჩაეტრიალებინათ და პროექტის დასრულებისკენ მიემართათ. გვქონდა არაერთ ასეთი ინიციატივა, რომელმაც საშუალება მისცა ბიზნესს, პანდემიის ურთულესი პერიოდი გადაელახა და პოსტკოვიდურ პერიოდში მზად ყოფილიყვნენ მეტი ინტენსივობით გაეგრძელებინათ პროექტები. სექტორული განვითარების თვალსაზრისით ტურიზმი რჩება ჩვენი ეკონომიკის გაძლიერების ქვაკუთხედი, მეორე მნიშვნელოვანი და ინტენსიური სექტორი - უძრავი ქონების სექტორი, რომელიც ვითარდება, ასევე ტურიზმზეა მიბმული. მნიშვნელოვანია, რომ ტურიზმის მიმართულებით, წლევანდელი ივნისის მონაცემებით, შემოსავლების ნაწილში 20 პროცენტით გადავაჭარბეთ კიდეც 2019 წლის მონაცემებს. ბათუმის აეროპორტი დაახლოებით 400-მდე ფრენას ახორციელებს, რაც აქამდე არ ყოფილა. ეკონომიკის აღდგენისთვის მნიშვნელოვანია როგორც ვიზიტიორების რაოდენობა, მათ მიერ გადახდილი თანხები, შემოსავლები, აგრეთვე ინფრასტრუქტურა და მიუხედავად პანდემიისა, გასული წლის მონაცემებით, ასზე მეტი ტურისტული ობიექტი შეემატა ტურიზმის სექტორს. ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ინვესტიციების მოზიდვის კუთხით, რა თქმა უნდა, არის წარმოება და დამამუშავებელი მრეწველობის განვითარება, სადაც გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი სიახლე - ერთია, ბათუმის ინდუსტრიული ზონა და ახლა ვიწყებთ ქობულეთის ინდუსტრიული ზონის განვითარებას. ბათუმის ინდუსტრიულ ზონაში მიწის ნაკვეთები პრაქტიკულად გაყიდულია. სულ რამდენიმე ნაკვეთია დარჩენილი. ყველას აქვს თავისი საინვესტიციო ვალდებულება, აუცილებელია საწარმოს ფუნქციონირება, შესაბამისი ინვესტიციების განხორციელებით ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება. ეს პროექტი და მისი წარმატება აგრეთვე პირდაპირ უკავშირდება ე.წ. ოცნების ქალაქის საკითხს, რადგან „ოცნების ქალაქში“ ერთია ჩვენი თანამოქალაქეების შესაბამისი საცხოვრებლით უზრუნველყოფა და მეორეა მათი საზოგადოებაში ინტეგრირება, მათი შემოსავლების უზრუნველყოფა, ვფიქრობთ, მათ დასაქმებით უზრუნველყოფაზე.

- ხშირია უცხოელ ინვესტორებთან დასაქმებულთა უფლებების დარღვევა, რამდენადაა სამინისტრო ჩართული მათი უფლებების დაცვაში?

იხ. მე-4 გვ.

> *„ახალ ინდუსტრიულ ზონაში გვაქვს შეზღუდვა, აქ ვერ აშენდება წიაღის დამამუშავებელი საწარმო, მაგალითად - ქვიშა-ხრეშის. არის სხვადასხვა სამშენებლო მასალის მწარმოებელი კომპანია, ოღონდ, ვიმეორებ, არა - წიაღის დამამუშავებელი, აქ არსებული საწარმო არ უნდა აზიანებდეს გარემოს და ბაზარზე არსებულ მოთხოვნას მაქსიმალურად აკმაყოფილებდეს. განსაკუთრებით მახარებს ის ფაქტი, რომ უმეტესობა ავეჯის მწარმოებელია*

უცხოეთი

საერთაშორისო ატომური სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე გარე კვების წყარო ჩაირთო. ამასთან, აღდგენილია ელექტროგადაცემის სარეზერვო ხაზი, რაც რეაქტორის გასაგრილებლად და უსაფრთხოების ნორმების დასაცავად არის აუცილებელი. ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურს მარტიდან საოკუპაციო ძალები აკონტროლებენ. გაერო სადგურის ტერიტორიის სასწრაფო დემილიტარიზაციას ითხოვს.

* * *

მოსახლეობა უნდა მოემზადოს „ძალიან რთული ზამთრისთვის“, რაც განპირობებული იქნება გაზის ფასის ზრდით, - განაცხადა საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა კირიაკოს მიცოტაკისმა. მან გაზის საფასურის ზრდაში რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი დაადანაშაულა. მიცოტაკისმა ასევე განაცხადა, რომ ვერცერთი მთავრობა ვერ გაუმკლავდება მარტივად საწვავის ათმაგ გაძვირებას. „მოსკოვს სურს, ენერგეტიკული არასტაბილურობა პოლიტიკურ არასტაბილურობად აქციოს. ჩვენ უკრაინის გვერდით ვართ იმიტომ, რომ მხარს ვუჭერთ დემოკრატიასა და თავისუფლებას. გარდა ამისა, ჩვენ თვითონაც ვიცით, რას ნიშნავს, იღებდე მუქარებს მეზობლისგან“, - განაცხადა საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა.

* * *

რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი მედვედევი უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის პასუხობს და უკრაინას კიდევ ერთხელ ემუქრება. „ზელენსკიმ თქვა, რომ ის არ აპირებს დიალოგს მათთან, ვინც ულტიმატუმებს აყენებს. ამჟამინდელი „ულტიმატუმები“ საბავშვო მოთელვაა მომავლის მოთხოვნებთან შედარებით და მან იცის ისინი: კიევის რეჟიმის სრული კაპიტულაცია რუსეთის პირობებით“, - წერს მედვედევი „ტელეგრამზე“. მანამდე უკრაინის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ არ დაელაპარაკება მათ, ვინც ულტიმატუმებს აყენებს. „ეს არის ჩემი პრინციპი: არ დაველაპარაკები მათ, ვინც ულტიმატუმებს მიყენებს“, - აღნიშნა ზელენსკიმ.

* * *

ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ უკრაინის სწრაფ წარმატებებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს რუსეთის საერთო ოპერაციულ გეგმაზე. „უკრაინაში განლაგებული ძალების უმეტესი ნაწილი იძულებულია პრიორიტეტი საგანგებო თავდაცვით მოქმედებებს მიანიჭოს,“ - აღნიშნავენ უწყებაში. მათივე ინფორმაციით, უკრაინის წინსვლის ფონზე, რუსეთმა, სავარაუდოდ, საკუთარი ჯარების ოკუპირებული ხარკოვის ოლქიდან გაყვანის ბრძანება გასცა. „არსებული ვითარების ფონზე, რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობის მიმართ ჯარისკაცების ნდობა კიდევ უფრო გაუარესდება“, - აცხადებენ დიდი ბრიტანეთის დავდაცვის სამინისტროში.

* * *

პაპუა-ახალ გვინეაში 7,6 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა. ეპიცენტრი ქალაქ კაინანტრუში, 90 კილომეტრის სიღრმეზე დაფიქსირდა. მიწისქვეშა ბიძგებმა მეწყერები გამოიწვია, დანგრეულია შენობები, გზებზე ნაპრალები გაჩნდა. მიწისძვრას მინიმუმ ოთხი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. დაშავებულია კიდევ ოთხი ადამიანი. ზარალის მასშტაბი დგინდება.

მოამზადა
ია შველიძემ

„ყველა მცდელობას, რომ კარგი საქმე გააშავონ, ჩვენ მხოლოდ საჭირო საქმის კეთებას და კანონის აღსრულებას დავუპირისპირებთ“

მე-3 გვერდიდან

- ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან ბევრი პოპულისტური განცხადება კეთდება, მე ვისაუბრებ როგორც ეკონომიკის მინისტრი. მნიშვნელოვანია ზღვარის დაცვა - თუ ძალიან გავამკაცრებთ ამ მიმართულებას, გართულდება ინვესტორების მოზიდვა, მაგრამ მხოლოდ ინვესტორების მოზიდვაზე თუ გავაკეთებთ აქცენტს, ჩვენი თანამოქალაქეები აღმოჩნდებიან რთულ მდგომარეობაში. ამიტომ ძალიან ფრთხილად ვეკიდებით ამ საკითხს. შესაბამისი უწყებები მუშაობენ ამ კუთხით კანონმდებლობის დასახვეწად. ბევრი შრომაა გაწეული და აუცილებლად გაგრძელდება, თუმცა ვფიქრობ, რომ როდესაც შეიქმნება დასაქმების ბევრი ალტერნატივა, ბუნებრივი კონკურენტული გარემო მოხსნის ამ პრობლემას. სწორედაც ამგვარ გარემოს ვქმნით. მაგალითისთვის გეტყვით, ბათუმის ინდუსტრიულ ზონაში 1500-ზე მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნება, მნიშვნელოვანი და სწორი გზა ესაა - მაქსიმალურად მეტი კონკურენცია დასაქმების მიმართულებით, ახალი სამუშაო ადგილებით, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ჩვენს მოქალაქეებს შესაბამისი სამუშაო პირობებით უზრუნველყოფს. სხვათა შორის, ბევრი ტურისტული კომპანია ითხოვს კვალიფიციურ, ენების მცოდნე, გარკვეული გამოცდილების მქონე კადრებს, რომელთა ნაკლებობასაც განვიცდით და ამ მიმართულებით შევიმუშავეთ კადრების დატრენინგების არაერთი პროგრამა, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების, განათლების სამინისტროს ჩართულობით.

- დაახლოებით რა დრო დასჭირდება იმდენი სამუშაო ადგილის გაჩენას, რომ კონკურენტული გარემო შეიქმნას და ადგილობრივმა კადრმა სამუშაო ადგილი და პირობები აირჩიოს?

- საწარმოების ნაწილი - მშენებლობის, ზოგი - დასკვნით, ზოგიც ნებართვების აღებისა და პროექტირების ეტაპზეა. მთავარია, რომ ტემპი საკმაოდ მაღალია. ჩვენი მოლოდინით - უახლოეს რამდენიმე წელიწადში... არ იქნება ეს ძალიან გრძელვადიანი.

- მაინც რა სახის საწარმოების გახსნა იგეგმება, რა პროდუქციას მივიღებთ მათგან?

- ახალ ინდუსტრიულ ზონაში გვაქვს შეზღუდვა, აქ ვერ აშენდება წიაღის დამამუშავებელი საწარმო, მაგალითად - ქვიშა-ხრეშის. არის სხვადასხვა სამშენებლო მასალის მწარმოებელი კომპანია, ოღონდ, ვიმეორებ, არა - წიაღის დამამუშავებელი, აქ არსებული საწარმო არ უნდა აზიანებდეს გარემოს და ბაზარზე არსებულ მოთხოვნას მაქსიმალურად აკმაყოფილებდეს. განსაკუთრებით მახარებს ის ფაქტი, რომ უმეტესობა ავეჯის მწარმოებელია. ეს არის საკმაოდ საინტერესო მიმართულება ჩვენთვის, რადგან შესაბამისი კვლევების მიხედვით, ავეჯის მიმართულების კუთხით საქართველოს აქვს გარკვეული ნიშა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საექსპორტოდაც, კარგი პოტენციალი გვაქვს ამ მიმართულებით. საქართველოში არსებული გარემოდან გამომდინარე, ჩვენ გვაქვს გარკვეული პირობები, რაც ამ სექტორში ჩართული პირების წარმატებას უწყობს ხელს.

- აჭარის მთიანეთში გაზიფიკაციასთან დაკავშირებით - გზის ერთ მონაკვეთზე (გოდერძის უღელტეხილი) შეჩერებული იყო დაქსელვითი სამუშაოები, ეს პრობლემა მოგვარდა?

- ცენტრალური გაზსადენის მშენებლობას, რომელიც ბათუმი-ხულოს მიმართულებით მიმდინარეობს, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ახორციელებს და მხოლოდ გოდერძის მონაკვეთია დარჩენილი.

- კვლავ იმ სტადიაშია?

- თანხვედრაშია იმ გზის მშენებლობასთან, ანუ აუცილებლად პარალელურად უნდა განხორციელდეს პროექტი. ჩვენი მოლოდინით, ძალიან მალე უნდა დასრულდეს გზის რეაბილიტაცია და შესაბამისად გაზიფიკაციაც. დაქსელვით სამუშაოებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ახორციელებს და აქაც რიგ სოფლებში, დასრულებულია გაზსადენის მშენებლობა და „სოკარზე“ გადაცემის პროცედურა მიდის. ახალ ლოკაციებზეც მიდის მუშაობა, განსაკუთრებით ხელვაჩაურსა და ქედაში. არის სოფლები, სადაც უკვე მიმდინარეობს დაპროექტება და შესაბამისი დაქსელვითი სამუშაოები. ცენტრალურ გაზსადენზე დაახლოებით 18 კილომეტრია დარჩენილი. ეს კილომეტრზე და მეტზე სამუშაოები შესრულებულია, პატარა მონაკვეთია დარჩენილი, რომელიც ასევე დასრულებული იქნებოდა, რომ არა გზის მშენებლობასთან თანხვედრა.

- მმართველი გუნდი დღევანდელი პოლიტიკური პოლარიზების პირობებში ხშირად გამხდარა ოპოზიციისა თუ არასამთავრობო სექტორის კრიტიკის ობიექტი, თავად თქვენთვის რა არის ყველაზე რთული დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას, რომელი სფეროა განსაკუთრებით პრობლემატური?

- ოპოზიციის დღის წესრიგზე არ ვისაუბრებ, სამწუხაროა, რომ წლები გადის და მათ ხედვაში არაფერი იცვლება. ვისურვებდი, რომ უფრო საქმიანი, კონსტრუქციული და არა ჭორებზე ორიენტირებული იყოს მათი დღის წესრიგი. ოთხი წელია ვმუშაობ ამ თანამდებობაზე და ამ დროის განმავლობაში, რომელიმე ოპოზიციური პარტიისგან რაიმე რეალური, არაპოპულისტური, შედეგზე გათვლილი, პრაქტიკული არაფერი მომისმენია, ესაა სამწუხარო. ჩვენ ვაკეთებთ საქმეს. როდესაც საქმეზე ხარ ორიენტირებული, რაც არ უნდა დამაზიანებელი იყოს პიარკამპანია, საბოლოო ჯამში საზოგადოებამდე მაინც მიდის მნიშვნელოვანი შედეგი, რომელსაც იგი შესაბამისად აფასებს წლების განმავლობაში და ამისთვის დიდი მადლობა. რაც შეეხება გამოწვევას - ჩვენ მივედით იქამდე, რომ ბიუჯეტი გვაძლევს მასშტაბური პროექტების საშუალებას (მოგეხსენებათ, სტადიონი ექსპლუატაციაში შევიდა, ლეონიძეზე სპორტის სასახლე დასრულდა, ქობულეთში იწყება ახალი სპორტის სასახლის მშენებლობა, ასევე - ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურის, როგორიცაა ჭვანაში კლდეზე შეკიდული კაფსულები, ზიპლაინის მშენებლობა და ასე შემდეგ). პრაქტიკულად, ყოველდღიურად რთულდება ინფრასტრუქტურული პროექტები, რადგან გვინდა უფრო თანამედროვე, უფრო პროგრესული პროექტები და ამ მიმართულებით ზოგადად, ქვეყანაში კადრების მიმართულებით საკმაოდ დიდი გამოწვევაა, განსაკუთრებით საინჟინრო, ტექნიკური სტაფის თვალსაზრისით. პრაქტკულად ყველა ტექნიკური მიმართულებით გვაქვს დეფიციტი - მერძევეების, ინჟინრების, არქიტექტორების... ვისურვებდი, უფრო მეტი კვალიფიციური კადრი გვყავდეს იგივე მყარი ნარჩენების მართვის მიმართულებით. ეს არის უმნიშვნელოვანესი პროექტი, სადაც ულტრათანამედროვე გზით წარიმართება ოპერირება. საჭიროა არსებული ნაგავსაყრელის კონსერვაცია, რასაც შესაბამისი ცოდნის მქონე კადრები სჭირდება. სამწუხაროდ, გვიწევს უცხოელი ექსპერტების ჩართვა ამ პროექტებში და ვისურვებდი, მეტი ქართველი სპეციალისტი გვყავდეს. ჩვენ შევთავაზეთ სტუდენტებს, რომლებმაც დაასრულეს, ან დამამთავრებელ კურსზე იყვნენ, პრაქტიკები, გადავანაწილეთ სხვადასხვა უწყებაში, რომლებიც ამ პროექტებს ახორციელებს და იმედია, ამ მიმართულებით ინტერესი მომავალში გაიზრდება, სხვათა შორის, რამდენიმე კადრი, ვინც წარმატებით გაიარა შეფასების პერიოდი, დავიტოვეთ და ამჟამად ჩვენი თანამშრომლები არიან.

- რა ეტაპზეა ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობა?

- წლების განმავლობაში ამაზე მიდიოდა საუბარი და ჩვენ მივედით რეალურ საქმემდე, რომელიც დასკვნით ფაზაშია. დასრულდა სამშენებლო სამუშაოები. უახლოეს პერიოდში, პრაქტიკულად, რამდენიმე დღეში გამოვაცხადებთ ტენდერს მისი ოპერირებისთვის საჭირო ტექნიკის შესაძენად. დაგვჭირდა გარკვეული პერიოდი, რომ EBRD-თან მიგვეღწია შეთანხმებას დამატებითი ფინანსური რესურსის გამოყოფაზე, ეს მიღწეულია, გერმანელი სპეციალისტების ჩართულობით იგი აღიჭურვება და ოპერირებაც დაიწყება. პარალელურად, აგრეთვე გერმანელი სპეციალისტების მონაწილეობით თვის ბოლომდე გვექნება კონცეპტუალური დიზაინი, როგორ უნდა მოხდეს არსებული ნაგავსაყრელის კონსერვაცია. შემდეგში უკვე დეტალური შესყიდვის საერთაშორისო ტენდერისთვის შესაბამისი პროცედურების გაწერა დაიწყება და გამოვაცხადებთ ტენდერს არსებული ნაგავსაყრელის კონსერვაციაზე. ჩვენი მოლოდინით მიმდინარე წლის ბოლოს, მაქსიმუმ, მომდევნო წლის დასაწყისში შევძლებთ გამოვაცხადოთ ტენდერი კონსერვაციაზე და ახალი ნაგავსაყრელი უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ტექნიკით... ვფიქრობთ, მიმდნარე წელს უკვე შესაძლებელი გახდება ამ ობიექტის ფუნქციონირება.

- საკრებულომ „ამბასადორი“ შეუსაბამო შენობების სიიდან ამოიღო, ეს რამდენად მისაღებია თქვენთვის, როგორც მოქალაქისთვის?

- პირველ რიგში, ბათუმს მინდა მივულოცო, რომ გვაქვს ბულვარის განაშენიანების გეგმა, რომელიც უმნიშვნელოვანესია და უზრუნველყოფს ჩვენი ბულვარის შენარჩუნებას, მის სწორ განვითარებას. ამისთვის ყველა მხარემ ძალიან დიდი შრომა გასწია. რაც შეეხება ამ კონკრეტულ პროექტს, ამაზე როგორც მოქალაქე ვერ ვისაუბრებ, რადგან თანამდებობის პირი ვარ და ვთვლი, რომ ძალიან მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების კანონის ფარგლებში მიღება. ქვეყანა ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩაჯდეს კანონის ჩარჩოში და ყველამ შესაბამისად უნდა ვიმოქმედოთ ბულვართან თუ რომელიმე სხვა ობიექტთან მიმართებაში. ჩემი უწყებიდან ყველაფერი იყო კანონის ფარგლებში.

- პოლარიზაცია, რაც მოუგვარებელ გამოწვევად რჩება ჩვენს რეალობაში, რამდენად მოქმედებს საზოგადოებაზე, და თქვენ, როგორც მმართველი გუნდის წევრი, ხედავთ თუ არა ამ პრობლემის მოგვარების გზას?

- ნებისმიერი პოლარიზაცია ვნებს ქვეყნის განვითარებას, ეკონომიკას, ახალი ინვესტიციების მოზიდვას. ჩვენი გუნდი პრობლემის მოგვარებას ცდილობს საქმით. როდესაც საქმე კეთდება და ქვეყნის განვითარება ადგას სწორ გზას, სპეკულაციები, მცდელობის მიუხედავად, შედეგს ვერ გამოიღებს. შეიძლება იყოს ხალხის შეცდომაში შეყვანის მოკლევადიანი ეფექტი, მაგრამ საბოლოო შედეგი ყველაფერს ცხადყოფს. ვფიქრობ, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში ეს შედეგი ჩანს ეკონომიკის ნაწილში, ისევ და ისევ ჩემს სფეროზე ვსაუბრობ, ყველა გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია ჩვენი სამთავრობო გუნდის მიერ უშუალოდ პრემიერის ლიდერობით, იყო სწორი და შედეგზეც აისახა. რამდენადაც ვიცი, მიმდინარეობს პოლარიზაციის შემცირების მიმართულებით მუშაობა პარლამენტარების, სხვა უწყებების ჩართულობით, აქამდე რაც იყო შეთავაზებული ჩვენი გუნდისგან, დარწმუნებული ვარ, საქმეზე და შედეგზეა ორიენტირებული და მომავალშიც ასე იქნება. ყველა მცდელობას, რომ კარგი საქმე გააშავონ, ჩვენ მხოლოდ საჭირო საქმის კეთებას და კანონის აღსრულებას დავუპირისპირებთ. წლებია ასე ვაკეთებთ და მომავალში შედეგს გამოიღებს.

- როგორია სამინისტროს განვითარების გეგმა?

- გარემოს, საპრივატიზებო, საგადასახადო პოლიტიკისა და აგრეთვე იმ ინფრასტრუქტურული პროექტების გარდა, რომლების განხორციელებაზეც უკვე ვისაუბრე, კიდევ ორ რამეზე გავამახვილებ ყურადღებას, რომლებიც პრიორიტეტულად დარჩება. პირველი - უფრო რთულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს და მეტი ინტენსივობით განვახორციელებთ. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ეკონომიკასაც განავითარებს და სოციალურ ფონსაც გააუმჯობესებს და მეორეც - ვაპირებთ კერძო სექტორის მაქსიმალურად მეტ წახალისება-ხელშეწყობას და მათი ფინანსებთან ხელმისაწვდომობის ზრდას. საუბარია პროექტების თანადაფინანსებაზე, საგრანტო პროექტებზე. მაგალითისთვის მინდა გითხრათ, რომ USAID-თან ერთად დავიწყეთ მყარი ნარჩენების მართვაში ჩართული კომპანიებისთვის გრანტების გაცემა. თუ თქვენ სეპარირებული ნარჩენების გადამუშავებას მოახდენთ და ამისთვის გჭირდებათ რაიმე ტიპის მანქანა-დანადგარი, სახელმწიფო შემოდის თანადაფინანსებაში. აღნიშნული ორი მიმართულება დაეხმარება კერძო სექტორს მეტი პროექტის განხორციელებაში.

- რა მოგწონთ და რა არა ჩვენს გაზეთში?

- ამ შემთხვევაშიც ვისაუბრებ როგორც ეკონომიკის მინისტრი, ფინანსისტი, არ გავაკეთებ აქცენტს ისტორიაზე, წარსულზე, თანამშრომლებზე, ამაზე ბევრი ითქვა. თვითკმარმა და განვითარებაზე ორიენტირებულმა საწარმომ უნდა შექმნას ისეთი პროდუქტი, რაც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია და იყიდება. გამოშვება რომ უნდა გაგრძელდეს, ამას საერთოდ არ ვეხებით, მივყვებით და რაც გასაკეთებელია, გავაკეთოთ, მაგრამ ხომ არ ჯობია ნაწილი ონლაინაც რომ გამოვცეთ, რა არის ამისთვის საჭირო? საინფორმაციო საშუალების დიდი ნაწილი ონლაინ გამოიცემა, ვთქვათ, ჩემი სპეციალობის მიმართულებითაც ბეჭდური გამოცემა პრაქტიკულად აღარაა, ხოლო თუ არის, ონლაინაც არის. ონლაინ გამოცემას მეტი შესაძლებლობები და სივრცე აქვს, მით უმეტეს დღეს უმეტესი საინფორმაციო საშუალება და წიგნებიც კი ინტერნეტშია.

- თქვენ გულისხმობთ, რომ რაღაც ნაწილი დარჩეს ბეჭდური და გაძლიერდეს ონლაინ მხარე?

- ბეჭდური, როგორც ტრადიცია, როგორც ისტორია, დარჩეს, არგუმენტირებულად დავადგინოთ ასეთი გამოცემის სიხშირე და უმეტესი პროდუქტი, რომელიც გაიყიდება და შედეგი ექნება, იგივე რეკლამის თვალსაზრისით, იყოს ონლაინ. მოდით, ეს ვცადოთ. არ ვამბობ, რომ აუცილებლად გაამართლებს, უბრალოდ, აღვნიშნავ, რომ ასეთი ტენდენციაა დღეს მსოფლიოში... „ნიუ იორკ თაიმსიც“ უკვე უმეტესად გადავიდა ონლაინზე. ასეა სხვაგანაც. დღეს მუშაობს ონლაინ სივრცე, ფეისბუკის გვერდი და სხვა სოცქსელები. მოდით ვცადოთ, იქნებ გაამართლოს, ყოველ შემთხვევაში ვიცით, რომ თქვენ, მე, გაზეთში მომუშავეებს და საზოგადოებას უკეთესობა გვინდა. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ვინმეს ვადანაშაულებ ან ვაქებ, შედეგიდან გამომდინარე, რაღაც უნდა მოვიფიქროთ, როგორც მექანიზმების, ასევე კონტენტის ნაწილშიც. ვაფასებ, რომ საკმაოდ დაბალანსებულია, მომწონს რუბრიკების მიმართულებით და რა თემებიცაა გაშლილი, აგრეთვე მომწონს, რომ ეხება ისეთ თემებს, რომლებიც შესაძლოა არ არის აქტუალური, მაგრამ მნიშვნელოვანია კონკრეტული საქმისთვის, კონკრეტული რეგიონისთვის, გარკვეული სეგმენტისთვის და ვიღაცამ ეს საქმე უნდა აკეთოს, შეიძლება არ იყოს მაინცდამაინც პოპულარული, მაგრამ იყოს საჭირო ქვეყნის, რეგიონალური, ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისთვის, ეს მნიშვნელოვანია და უნდა შევინარჩუნოთ, მაგრამ ამას უნდა მივამატოთ სხვა მიმართულება. საერთოდ, სწორი იქნება, რომ რაღაც ბირთვი არსებობდეს, რომელიც უზრუნველყოფს შემოსავლებს, განვითარებას და რომელიც შეძლებს არაპოპულარული თემატიკის კომპენსირებას. მე ასეთი გაზეთი მომეწონებოდა.

ესაუბრა
მარინა მითაიშვილი

როგორ წარიმართა 2022 წლის საზღვაო ტურისტული სეზონი?

ხატია იაშვილი 555 18 48 88

2022 წლის საზღვაო ტურისტული სეზონი თითქმის მიილია, ჩვენს რეგიონს უამრავი დამსვენებელი სტუმრობდა. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2019 წლის სტატისტიკური მონაცემებით, წელს 2019 წელთან შედარებით, ტურისტთა 20-პროცენტიანი ზრდა გვაქვს. ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ სეზონი წარმატებით მიმდინარეობს. წელს მთიან მუნიციპალიტეტებს დაემატა 10 ახალი ტურისტული ლოკაცია, სადაც ხალხმრავლობა ნამდვილად შეიმჩნეოდა. ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ***თინათინ ზოიძე*** *გვესაუბრება.*

- ქალბატონო თინათინ, საზღვაო ტურისტულმა სეზონმა გაამართლა მოლოდინი?

- იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რაც ახლდა პანდემიას, შეიძლება სიამაყით აღვნიშნოთ, რომ საზღვაო ტურისტული სეზონი შედგა. ძალიან აქტიურად და ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ტურიზმის სექტორის განვითარება. თუ საზღვრის კვეთის სტატისტიკას გადავხედავთ, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის, სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის, პორტის მონაცემებით, ვიზიტები ყველგან მზარდია. უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის ამავე პერიოდთან შედარებით, 20-პროცენტიანი ზრდა გვაქვს. ამავდროულად, ჯავშნების მეშვეობით ვითვლით კერძო სექტორს და არარეგისტრირებულ საცხოვრებელ სახლებს (ბინები), აქაც მზარდი მონაცემები გვაქვს. აქვე უნდა ითქვას, რომ 2019 წლის მონაცემებთან შედარებით, გაზრდილია როგორც ჯავშნების, ასევე, გასაქირავებელი ბინების რაოდენობაც. პარალელურად აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა, რათა შემოდგომის და ზამთრის სეზონი იყოს წარმატებული.

- თქვენ ახსენეთ საზღვრის კვეთის მონაცემები. ძირითადად რომელი ქვეყნის ტურისტები გვსტუმრობდნენ?

- მატება გვაქვს ჩვენი სამიზნე ქვეყნიდან - ისრაელიდან (17 პროცენტი 2019 წელთან შედარებით), ასევე, საუდის არაბეთიდან და გაერთიანებული საამიროებიდან. ევროპული მიმართულებით - ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან, ყაზახეთიდან, უზბეკეთიდან. რა თქმა უნდა, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა როგორც მეზობელ, ასევე ჩვენს სამიზნე ევროპულ მიმართულებებზე, შესაბამისად, იგეგმება მიზნობრივ ბაზრებზე მორგებული სარეკლამო კამპანიები. ვცდილობთ, ერთი მხრივ, მოვახდინოთ ჩვენი რეგიონის და ქვეყნის, როგორც უსაფრთხო ტურისტული რეგიონის პოპულარიზაცია და მეორე მხრივ, გავავრცელოთ და გავაცნოთ ჩვენს პოტენციურ მომხმარებელს ის მრავალფეროვანი შესაძლებლობები, რასაც რეგიონი და ქვეყანა ტურისტებს სთავაზობს.

- თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში საუბრობდნენ, რომ ბევრი რუსი მოქალაქე შემოვიდა რეგიონში. გაქვთ ამის შესახებ მონაცემები?

- სლავური ქვეყნებიდან მონაცემებს ვღებულობთ. კონკრეტულად რუსი ტურისტების საზღვრის კვეთის მონაცემებით, ვიზიტები ნამდვილად არ არის მომატებული, პირიქით, მინუს 15 პროცენტია.

- ასევე, ხშირად საუბრობენ გაზრდილ ფასებზე როგორც განთავსების, ისე - კვების ობიექტებში.

- ზოგადად, ფასებს ტურისტულ სერვისებსა და სხვა მომსახურებაზე არეგულირებს ბაზარი. კვლევებს თუ დავეყრდნობით, ბათუმში ფასების მატება ნამდვილად გვაქვს.

- საზღვაო ტურისტულ სეზონზე პროფესიული კადრების დეფიციტი იქმნება. წელს, როდესაც ტურისტების რაოდენობამ იმატა, თუ იყო ამ მხრივ პრობლემა?

- სერვისის დონე და კვალიფიციური კადრების დეფიციტი ნამდვილად არის ჩვენთვის გამოწვევა. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად, წელს შევიმუშავეთ ინტენსიური სატრენინგო კამპანიები ტურიზმის სფეროში დასაქმებული ადამიანებისთვის, გაზრდილია ნაკადები, ამიტომ მუდმივად ვცდილობთ კერძო სექტორმა ვიზიტიორებს გამართული სერვისი შესთავაზოს. სიამაყით შემიძლია აღვნიშნო, რომ მომსახურების დონე ყოველწლიურად უმჯობესდება.

- როგორც ვიცი, წელს ტურისტებს რამდენიმე ახალი ლოკაცია დახვდა, ამავდროულად, ეწეოდით ძველი აჭარული კერძების პოპულარიზაციას...

- ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ, რომ ბათუმი ოთხივე ტურისტულ სეზონზე იყოს დატვირთული. ამავდროულად, მთავრობასთან ერთად, ვეწევით მთიანი აჭარის პოპულარიზაციას, ვგეგმავთ და ვახორციელებთ ტურისტული ობიექტების დივერსიფიკაციას და ინფრასტრუქტურის მოწყობას. მთიან მუნიციპალიტეტებს უკვე დაემატა 10 ახალი ტურისტული მიმართულება და ვიზიტიორებს უკვე 25 მრავალფეროვან მარშრუტს ვთავაზობთ. ასევე მნიშვნელოვანია საოჯახო ტიპის სასტუმროები და კვების ობიექტები, რადგან იგი იზიდავს ტურისტს. კულინარია ჩვენი ძლიერი მხარეა. ამ მხრივაც ინტენსიურად ვმუშაობთ, რათა მივიღოთ ისეთი პროდუქტი, რომელიც მაღალმხარჯველ ტურისტს მოიზიდავს. რამდენიმე ადგილზე მოვაწყვეთ კანიონინგი. ჩანჩქერებზე თოკით დაშვება ძალიან პოპულარული გახდა - ტურისტი აქვე, ქალაქთან ახლოს, იღებს სიამოვნებას და განიცდის დიდ ემოციას. მოკლედ, თუ შევაჯამებთ 2022 წლის საზღვაო ტურისტულ სეზონს, შეიძლება ითქვას, რომ იგი წარმატებით მიმდინარეობს დღემდე.

თაობა

„ყოველ ადამიანს შესწევს ძალა, შეცვალოს აწმყო“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ქვეყნის წინსვლას და განვითარებას ცხადყოფს არა მხოლოდ სტაბილური პოლიტიკური გარემო და სახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა, არამედ რამდენად პერსპექტიული და ნიჭიერი ახალგაზრდები ჰყავს, რომლებიც კრეატიულნი არიან და საზოგადოებას მრავალ საინტერესო პროექტს სთავაზობენ სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის. ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი ბსუ-ის საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი ***გოგა გაშშაძე*** *სწორედ გამორჩეული და წარმატებული ახალგაზრდაა, რასაც მოწმობს მისი აქტივობები სხვადასხვა სფეროში. ამ მხრივ აღსანიშნავია თუნდაც ის, რომ მისი ორგანიზაციის („ახალგაზრდები საქართველოსთვის“) ხელშეწყობით, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სტუდენტური პროექტი - „საქართველოს ახალგაზრდული სამიტი 2022“ ტარდება. გარდა ამისა, გოგა გახლავთ, როგორც აღვნიშნეთ, ახალგაზრდული ორგანიზაციის - „ახალგაზრდები საქართველოსთვის“ დამფუძნებელი. დღეს იგი ჩვენი გაზეთის სტუმარია.*

- როგორც გაცხადდა, ორგანიზაცია „ახალგაზრდები საქართველოსთვის“ მნიშვნელოვანი პროექტის დაწყებას აპირებს ახალგაზრდების თვითგანვითარებისთვის, როდის დაიბადა ამ პროექტის იდეა და რა არის მისი მიზანი?

- პროექტის იდეა ჯერ კიდევ პირველ კურსზე გამიჩნდა, მსურდა პარლამენტის მოდელირების მსგავსი პროექტი გამეკეთებინა, რომელშიც ახალგაზრდები განიხილავდნენ საქართველოში არსებულ რთულ და გადაუჭრელ საკითხებს, მოძებნიდნენ გადაჭრის ალტერნატიულ გზებს, მაგრამ ეს ის პერიოდი იყო, როცა სრულიად ონლაინსწავლებაზე ვიყავით გადართული. სწორედ ამიტომ ჩემი იდეა დროებით მხოლოდ იდეად დარჩა, მაგრამ მაშინ დავისახე მიზნად, რომ ერთ დღესაც მსგავს რთულ პროექტს შევეჭიდებოდი. საბედნიეროდ, მეორე კურსზე სწავლება აუდიტორიაში განახლდა და ჩემს მიზანთან ისე ახლოს ვიყავი, როგორც არასდროს და იმ დღეს, როცა ახალგაზრდებს პირველად ბატონმა გოჩა სურგულაძემ გაგვაცნო სტუდენტური პროექტების სტრუქტურა, მივხდი, რომ მუხლჩაუხრელად შრომის, ჩემი მაქსიმუმის გამომჟღავნებისა და დასახული მიზნის ბოლომდე მიყვანის დრო მოვიდა.

- რამდენ ხანს გაგრძელდება ეს პროექტი, ძირითადად, ახალგაზრდების რა სეგმენტს მოიცავს და ვინ აფინანსებს მას?

- პროექტი დაფინანსებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ და ის არის სტუდენტური პროექტების კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებული პროექტი. იგი დასრულდება პირველ ნოემბერს. მასში მონაწილეობენ 15-დან 25 წლამდე ახალგაზრდები, ძირითადად, სტუდენტები და აბიტურიენტები.

- რამდენად მნიშვნელოვანია ახალგაზრდობისთვის ზემოაღნიშნულ პროექტში მონაწილეობა?

- მსგავსი პროექტები უმნიშვნელოვანესია, რადგან ფორმალურ განათლებასთან ერთად, რასაც ჩვენ უნივერსიტეტსა და სკოლებში ვიღებთ, დიდი მნიშვნელობა აქვს არაფორმალურსაც, რადგან სწორედ ეს მხარე გვიყალიბებს ჩვენს სამომავლო მიზნებსა და ამოცანებს, ასევე გადაწყვეტს, ძირითად შემთხვევაში, ჩვენს წარმატებულობასაც კი. მიმაჩნია, რომ თუ გვსურს, ვიყოთ წარმატებულნი, უნდა განვავითაროთ ჩვენი სუსტი მხარეები და ვიქცეთ საკუთარი თავის საუკეთესო ვარიანტად!

- სტაჟიორებს ორი თვის განმავლობაში ჩაუტარდებათ ტრენინგები შემდეგ თემებზე: „ორგანიზაციული პოლიტიკა და მართვა“, „განათლება“, „ლიდერობა და გუნდური მუშაობა“ და ა. შ. დეტალურად გვიამბეთ ამის შესახებ...

- ჩვენ წინასწარ განვსაზღვრეთ ის თემები, რომლებიც მათ შემდგომში იმ საქმიანობაში გამოადგებოდათ, რასაც სამომავლოდ ერთად გავაკეთებთ. წინასწარ დავგეგმეთ რამდენიმე შეხვედრა და ტრენინგი, რომელსაც გამოცდილი ტრენერები ჩაუტარებენ ორგანიზატორებს. მათ არაერთგზის ჩაუტარებიათ მსგავსი სესიები. ჩვენ მაქსიმალურად შევეცდებით, რომ მათ თვითონვე შეძლონ სამიტის მართვა, ვინაიდან თეორია არაფრის მომცემია, თუ ადამიანს არ გააჩნია პრაქტიკა, ჩვენ კი ვთავაზობთ მეგობრულ გუნდს, რომ სწორედ ეს საჭირო თვისებები შეიძინონ, განავითარონ და პრაქტიკაში გამოცადონ. საბოლოო ჯამში მიმაჩნია, რომ ამას პეპლის ეფექტი ექნება და სამომავლოდ ერთობლივად შევძლებთ მრავალი პროექტის შექმნასა და განვითარებას.

- პროექტის დასრულების შემდეგ სტაჟიორები მიიღებენ სერტიფიკატს, თქვენი აზრით, ეს ახალგაზრდები რამდენად სრულყოფილად შეძლებენ მიღებული ცოდნის გამოყენებას სხვადასხვა სფეროში სამუშაოს მიღების კუთხით?

- მოგეხსენებათ, სერტიფიკატი გამოცდილების გარეშე დიდი ვერაფერია, მაგრამ ჩვენ ვთავაზობთ ახალგაზრდებს როგორც თეორიულ ცოდნას, ასევე პრაქტიკულსაც, ჩვენ თვითონვე შევეცდებით მათ დახმარებას. შემიძლია გითხრათ, რომ მსგავსი პროექტის ერთ-ერთი მოხალისე ორგანიზატორი ვიყავი გასულ წელს „არაფორმალური განათლების ინსტიტუტში“, მათთან რამდენიმე თვის ურთიერთობამ, რომელიც შეუფასებელია ჩემთვის, მომცა ცოდნა და საშუალება იმისა, რომ დღეს მსგავს პროექტს ჩემს საყვარელ კუთხეში, აჭარაში ვატარებთ.

- მსგავსი პროექტები მხოლოდ ჩვენს რეგიონში ანუ ბსუ-ის უნივერსიტეტის ფარგლებში ხორციელდება?

- ამჟამად ეს პროექტი მხოლოდ ბსუ-ის ფარგლებში ხორციელდება, მაგრამ უკვე გავწერეთ სამომავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ჩვენი ორგანიზაცია იმოქმედებს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში და საბოლოოდ, ვეცდებით, შევქმნათ მყარი ქსელი, რომელიც შეძლებს, თავი მოუყაროს ყველა მუნიციპალიტეტს და ერთად შევქმნათ უამრავი პროექტი, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენი კუთხის ახალგაზრდობის განვითარებას.

- პროექტში გაუღერებულ თემებს ახალგაზრდებს ადგილობრივი თუ მოწვეული სპეციალისტებიც წაუკითხავენ?

- ამჟამად მხოლოდ ადგილობრივი სპეციალისტები და ბსუ-ის ლექტორები, მაგრამ სამომავლოდ, ვგეგმავთ სხვადასხვა ორგანიზაციასა და უნივერსიტეტთან თანამშრომლობას.

- როგორც გავიგე, უახლოეს მომავალში ასევე აპირებთ ახალი პროექტის დაწყებას - „დაიწყე და განავითარე შენი ბიზნესიდეა“! გვიამბეთ ამის შესახებაც...

- დაიხ, ვაპირებ, ეს პროექტი გაცილებით მასშტაბური იქნება და აჭარის ყველა მუნიციპალიტეტს მოიცავს. მასში მონაწილეობას მიიღებს ასობით ახალგაზრდა, რომელთაც უამრავი შესაძლებლობა ექნებათ არაფორმალური განათლების გასაცნობად. გვექნება, ასევე, სპორტულ-შემეცნებითი აქტივობები, სხვადასხვა კლუბი, შეჯიბრებები და ასე შემდეგ...

- საუბარი გავაგრძელოთ თქვენ მიერ დაარსებულ ორგანიზაციაზე „ახალგაზრდები საქართველოსთვის“. რა გახდა ამ ორგანიზაციის დაარსების მიზეზი?

- ვფიქრობ, ორგანიზაციის შექმნის მიზეზი საქართველოში არსებული განათლების სისტემაა. ყველანი ვხედავთ, რომ იგი არცთუ ისე უნაკლოა, მე კი მიმაჩნია, ყოველ ადამიანს შესწევს ძალა, შეცვალოს აწმყო და უკეთესი მომავალი შეუქმნას სხვას, ეს კი თავისთავად შექმნის შესაძლებლობას, რომ ჩამოვაყალიბოთ უკეთესი განათლების სისტემა, შევავსოთ ის ნაკლოვანებები, რაც აქვს, და შევქმნათ ჩვენთვის მისაღები განათლების სისტემა, სადაც განათლებაზე წვდომა ყველა ახალგაზრდას ექნება (თანაც უფასოდ!). ასევე შექმნის მიზეზი იყო არაფორმალური კუთხის თითქმის არარსებობა, თანაც აქტივობები ძირითადად დედაქალაქში ტარდება და ჩვენს ახალგაზრდობას არ აქვს შესაძლებლობა, მაქსიმალურად იყოს ჩართული. შევეცდებით, ჩვენი კუთხის ახალგაზრდებს შევთავაზოთ მათთვის მისაღები და სასიამოვნო გარემო, სადაც მიიღებენ არაფორმალურ განათლებას და იქნებიან ჩართულნი სხვადასხვა პროექტსა და აქტივობაში, რომელსაც ჩვენ განვახორციელებთ.

- ცხადია, ასეთი ორგანიზაციის მესვეურებს გარკვეულწილად სტუდენტების, ახალგაზრდების პულსი უნდა ესმოდეთ, რა არის ამჟამად მათი უმთავრესი პრობლემა?

- მოგეხსენებათ, თავადაც სტუდენტები ვართ და საკმაოდ კარგად ვხედავთ ირგვლივ არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს, რომელთა აღმოფხვრაც აუცილებელია. პირველ რიგში, ვფიქრობ, აუცილებელია პრობლემის იდენტიფიცირება. პირველი და უმთავრესი პრობლემა არის ის, რომ დღეს არსებული პროექტებისა თუ ფორუმების უმრავლესობა, რომელსაც სხვადასხვა ძლიერი ორგანიზაცია ატარებს, არის დედაქალაქში, ჩვენი ახალგაზრდები ვერ ახერხებენ დიდ მანძილზე გადაადგილებას, ამას ემატება ისიც, რომ მსგავს პროექტზე დასასწრებად საკმაოდ დიდი თანხის გადახდა უწევთ. მიმაჩნია, რომ უამრავი ახალგაზრდა სწორედ ამის გამო იჩაგრება და ჩვენ ვცდილობთ მის აღმოფხვრას ჩვენი პატარა წამოწყებით. ჩვენი მომავლის მიზანი კი არის ჩვენი დედაქალაქის - ბათუმის ახალგაზრდების განათლების კერად ქცევა.

- დღეისათვის ჩვენი რეგიონის მასშტაბით რამდენი ადამიანია გაწევრიანებული ამ ორგანიზაციაში, კარი ყველასათვის ღიაა?

- ამჟამად ორგანიზაციაში მხოლოდ რამდენიმე ახალგაზრდაა, მაგრამ როგორც მოგეხსენებათ, გამოცხადებული გვაქვს მიღება, სადაც აპლიკანტთა რაოდენობამ მოლოდინს ბევრად გადააჭარბა, 16 სექტემბერს გვექნება გასაუბრება და ახალგაზრდების მიღება, საბოლოო რაოდენობას მალე გაიგებთ!

- მოგეხსენებათ, ჩვენს ქვეყანაში არაერთი სტუდენტური ორგანიზაციაა შექმნილი, როგორ შეხვდნენ ისინი თქვენი ორგანიზაციის დაფუძნებას?

- ვინაიდან არცთუ ისე დიდი ხანია, რაც ვარსებობთ, განწყობა ნეიტრალურია, მაგრამ ვიზრუნეთ იმაზეც, რომ რამდენიმესთან მეგობრული ურთიერთობა ჩამოგვეყალიბებინა, სამომავლოდ ვგეგმავთ, რომ მათთან ვითანამშრომლოთ, ერთად განვახორციელოთ რამდენიმე პროექტი, რაც ერთიორად გაზრდის ჩვენი არსებობის მთავარ აზრსა და მოტივს.

იხ. მე-7 გვ.

ხინოწმინდის სამონასტრო კომპლექსის ახალი სიცოცხლე

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

მდიდარი წარსულით, ფლორითა და ფაუნით, ნოყიერი მიწებით იყო გამორჩეული კინტრიშის ხეობის სოფელი ხინო. ხინოწმინდელმა ეპისკოპოსმა ბოლომდე უერთგულა მართლმადიდებლურ სარწმუნოებას. ვერც გმირი და გაუტეხელი ხინოელები (ხინოწმინდელები) დაიმორჩილეს, ისინი ხან ტყეში იხიზნებოდნენ, ხან კიდევ მიუვალ მთებსა და ჭიუხებში. უკან დაბრუნებულებს საცხოვრისი გადამწვარ-გადაბუგული ხვდებოდათ. მრავალმა, თვითგადარჩენის მიზნით, სარწმუნოება გამოიცვალა, მაგრამ მალულად ქრისტიანულ რიტუალებს ასრულებდა და გადარჩენილ სამონასტრო კომპლექსში სანთლებს ანთებდა, ბევრმაც ხეობა მიატოვა

მართალია, ეკლესიის ზარები ჩამოხსნეს, მაგრამ მრწამსისადმი ერთგულება ხინოწმინდელებმა ბოლომდე შეინარჩუნეს. 21-ე საუკუნეში ხინოს (ხინოწმინდის) ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო. ქობულეთის ცენტრს 40 კილომეტრით მოშორებულ ტერიტორიაზე, რომელიც მე-20 საუკუნეში მოსახლეობისგან დაიცალა, სამონასტრო კომპლექსის აღდგენა და მღვდელმსახურება დაიწყო, რომელსაც მამა ევდემოზი და იღუმენი გრიგოლი აღასრულებდნენ.

ამ ეტაპზე მხოლოდ შალვა მსახურაძე და მერაბ ბერიძე პატრონობენ მიტოვებულ სახლკარს, ისინიც ზამთრობით ბარში მიდიან. ყოველ ხინოელს (ხინოწმინდელს) ზაფხულობით ნოყიერ მიწებზე პირუტყვი და ფუტკარი ამოჰყავს. მრავალმა ბოსტნეული, ბაღჩეული, მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანასაც მიჰყო ხელი. სამონასტრო კომპლექსის შემოგარენში, ქობულეთსა და ქვეყნის სხვა კუთხეებში მცხოვრებლებმა სამლოცველოების, ბერების რეზიდენციის, სატრაპეზოების შენობების აგება წამოიწყეს. მღვდელმსახურების ინიციატივით, ტერიტორიაზე საადრეო ვაზის, ხეხილის მოშენებაც დაიწყეს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ხინოწმინდის (ხინოს) სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებს. უკვე დაწყებულია და მომავალში დასრულდება ქობულეთი-ჭახათი-ხინოს საავტომობიდო გზის კეთილმოწყობისა და ასფალტ-ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები.

მამა ევდემოზის, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ინიციატივით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით სახალხო დღესასწაულ «ხინოობას» (ხინოწმინდობას) დაედო სათავე.

წელს ზეიმზე ქვეყნის ყველა კუთხეში მცხოვრები ხინოელები, მათი მეგობრები, იმ გვარის წარმომადგენლები მოვიდნენ, რომლებსაც პირადი წვლილი შეაქვთ ერთ დროს მიტოვებული, ისტორიული, მრავალ განსაცდელს გამოვლილი ტერიტორიის აღდგენა-განვითარებაში.

სვანეთის გარდა, სვანურ კოშკს მხოლოდ თბილისში - კუს ტბის შემოგარენში არსებული ეთნოგრაფიულ მუზეუმში ნახავთ. სვანეთის მკვიდრმა სამმა ძმამ ზეზვა, ზაალ, ზვიად ჩანქსელიანებმა ხინოწმინდის სამონასტრო კომპლექსის მომიჯნავედ სვანური კოშკის აშენება ითავეს.

- უფლის ნებით, ორი კუთხის - სვანეთისა და აჭარის მკვიდრთა დაახლოების, მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების მიზნით, ჩვენი კუთხის უძველესი და უძვირფასესი სიმბოლო - სვანური კოშკი, აქაც დავდგით, - გვითხრა ზეიმის დაწყების წინ ზეზვა ჩანქსელიანმა.

ზეიმზე სვანურმა კოშკმა საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. კოშკის ბოლო სართულზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან ზოიძემ და ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ონიანმა მეგობრობის, ორი მუნიციპალიტეტის დაახლოების მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

- ჩვენ კარგად გვაქვს გათავისებული აჭარის, განსაკუთრებით ამ კუთხის ისტორია. სვანეთსა და აჭარას სტიქიამ რომ შემოუტია, ქვეყნის სხვა კუთხეების შვილებმა ლუკმა გაუნაწილეს სტიქიისგან დაზარალებულ ოჯახებს. წალკის, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში, ქართლში, კახეთში, ქიზიყში ახლაც ერთმანეთის გვერდიგვერდ მეგობრულად ცხოვრობან სტიქიას განრიდებულები, შესანიშნავი და შესაშური ცხოვრებაც მოიწყვეს, - გვითხრა გურამ ონიანმა.

ზეიმზე მოსული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, მთავრობის წევრები მაია ხაჯიშვილი, ზაზა შავაძე, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტე არაშიძე, უმაღლესი საბჭოს წევრები, ხულოს, შუახევის, ხელვაჩაურის, ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელები, საპატიო სტუმრები, საზოგადოების წარმომადგენლები ლევან ზოიძემ და მამა ევდემოზმა სამონასტრო კომპლექსში მიიპატიჟეს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის, აჭარის კულტურულ მემკვიდრეობათა დაცვის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ ზაურ ახვლედიანის პროექტით დაწყებულია მონასტრის რესტავრაციაკონსერვაციის სამუშაოები.

- აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მობილიზებულია 750 ათასი ლარი. სამუშაოები, კონკურსში გამარჯვებულმა ფირმა «ივერთმშენმა», რომელსაც ამ მიმართებით დიდი გამოცდილება აქვს, უკვე დაიწყო და 2023 წლის ბოლოს დაასრულებს. არქიტექტორი ტარიელ ხოზინაშვილია. ბათუმში ღვთისმშობლის ტაძრის

რესტავრაცია, ასევე, გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე წმინდა თევდორე აჭარელის სახელობის და კალოთის ეკლესიების რესტავრაცია-კონსერვაცია «ივერთმშენის» სახელს უკავშირდება. მისი სუბმოიჯარეა შპს «ტაო-ტბელი». აქ მალე დაზამთრდება და სამუშაოები, სავარაუდოდ, ნოემბრამდე გაგრძელდება, - გვითხრა ზაურ ახვლედიანმა.

გალავნის რესტავრაცია აჭარის კულტურულ მემკვიდრეობათა დაცვის სააგენტომ ორი წლის წინ დაასრულა. ასევე, რესტავრაცია ჩაუტარდა სასაფლაოს ნაწილს.

- რესტავრირებული ტაძრის სიმაღლე 17 მეტრი იქნება. ამ ეტაპზე სამუშაოებზე 7 სპეციალისტია დასაქმებული. უახლოეს პერიოდში კიდევ რამდენიმე სპეციალისტს დავამატებთ. თუ ამინდებმა საშუალება მოგვცა, სამუშაოებს ზამთრის თვეებშიც შევასრულებთ. შემდეგ ტერიტორია გაიწმინდება და გალავანიც მეტ ელფერს შეიძენს. ეს უნიკალური პროექტია, - გვითხრა შპს «ტაო-ტბეთის» დირექტორმა რამაზ ებრალიძემ.

სამონასტრო კომპლექსში, სადაც წმინდანის საფლავია, კიდევ ოსმალთაგან წამებით აღსრულებულნი ხინოწმინდელნიც განისვენებენ. მონასტერში მყოფთა მღვდელმსახურებმა მცირე პანაშვიდი გადაიხადეს.

- წლევანდელი «ხინოობა» (ხინოწმინდობა) წმინდა იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთის დღეს დაემთხვა, - თქვა მამა ევდემოზმა, - მონაწილეთა სიმრავლე, სხვადასხვა აქტივობებით დატვირთული ზეიმი საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ ხინოსა და ხინოწმინდის განვითარებაში ახალი ეტაპი იწყება.

აჭარის ულამაზესი ხეობისა და უშუალოდ ხინოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე გაამახვილეს ყურადღება სვანური კოშკის შემოგარენში გამართულ საზეიმო ცერემონიაზე აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ, ქობულეთის, ლენტეხის მუნიციპალიტეტების მერებმა ლევან ზოიძემ, გიორგი ონიანმა, მამა ევდემოზმა. ამ უკანასკნელმა, «საპატიო ხინოწმინდელის» დიპლომები გადასცა იმ ადამიანებს, რომლებსაც გამორჩეული წვლილი შეაქვთ ხინოწმინდის სამონასტრო კომპლექსის აღდგენასა და კინტრიშის ხეობის განვითარებაში. პირველნი, ვისაც ეს დიპლომი ერგო, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და თორნიკე რიჟვაძე არიან.

დღესასწაულს ყოველთვის მუსიკალური ნომრები ალამაზებს. ქობულეთის მუნიციპალიტეტის სახალხო ფოლკლორული ანსამბლის «ქობულეთის» წევრებთან ერთად, მაყურებლის წინაშე წარსდგნენ ლენტეხის და ბოლნისის მუნიციპალიტეტებთან არსებული ვაჟთა («ლაგუშელა») და ქალთა («ბოლნელა») ანსამბლები.

- ჩვენი ანსამბლი ამ ზეიმზე მამა ევდემოზმა მოიპატიჟა, - გვითხრა «ბოლნელას» სამხატვრო ხელმძღვანელმა ნანა ვანიშვილმა, - სად მოვდიოდით, არ ვიცოდით, მაგრამ ნანახმა გაგვაოცა და აღგვაფრთოვანა. გმირი ხინოელები მშობლიური მიწის, მრწამსის გადასარჩენად თავს არ ზოგავდნენ, ეს დღესაც წარმოჩნდა. ყველას მადლია აქაურობის გამოცოცხლება. თუ მოგვიწვევენ, გაისადაც არ დავიზარებთ ჩამოსვლას.

ზეიმის მონაწილეებმა ცალკეული გვარის წარმომადგენელთა შემწეობით გაკეთებული სამლოცველოები, რეზიდენციები, სატრაპეზოები დაათვალიერეს.

- ყველას, გამორჩეულად - ამ ხეობის, სოფლის მოსახლეობას მსურს მივულოცო «ხინოწმინდობის» დღესასწაული, ვუსურვო გაძლიერება, სიმტკიცე. განსაკუთრებული ხანა დგება სამონასტრო კომპლექსის ისტორიაში. დაწყებულია ერთ დროს იავარქმნილი მონასტრის აღდგენითი სამუშაოები. ყველა პირობა გვაქვს, რომ ეს საშვილიშვილო საქმე და კიდევ მრავალი სხვა წამოწყება ბოლომდე მივიყვანოთ. სიტყვას ვიძლევით, რომ ეს ტერიტორია ახალ სიცოცხლეს შეიძენს, - თქვა «აჭარასთან» საუბარში თორნიკე რიჟვაძემ.

ჩვენი მეგზური შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე ხეობაში პირველად იყო.

- სამსახურებრივი კარიერა ქობულეთის მუნიციპალიტეტში დავიწყე, თუმცა ხინოს, აქ არსებული სამონასტრო კომპლექსის მონახულების შესაძლებლობა წელს მომეცა. დიდი საქმეებია დაწყებული, რაც ქვეყნის, რეგიონის ხელმძღვანელობის, ჩვენი პატრიარქის თანადგომით კეთდება. ყველამ ვნახეთ, რომ ბოლო 7 წლის განმავლობაში ძალიან ბევრია გაკეთებული, რასაც კიდევ ბევრი სიახლე შეემატება, - გვითხრა როსტომ ლორთქიფანიძემ.

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით...

ახალი - 2022-2023 სასწავლო წლიდან საჯარო სკოლებში საგანმანათლებლო პროექტ „სამხედრო საქმის“ პილოტირება იწყება, რომელშიც მაღალმთიანი რეგიონების 18 სკოლის საბაზო საფეხურის (VII-IX კლასების) 300-ზე მეტი მოსწავლე ჩაერთვება. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებს კვირაში ერთხელ გაკვეთილს სპეციალურად გადამზადებული მოქმედი სამხედრო ოფიცრები ჩაუტარებენ.

გარდა ამისა, ფართოვდება საგანმანათლებლო პროექტის „თავდაცვა და უსაფრთხოება“ მასშტაბები.

„საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით, 2022-2023 სასწავლო წლიდან საჯარო სკოლებში ახალი საგანმანათლებლო პროექტის - „სამხედრო საქმის“ პილოტირება იწყება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს პარტნიორობით, პროექტის პილოტირების პროცესში დამატებით 18 ბენეფიციარი ჩაერთო და გადამზადდა როგორც 12 ყოფილი სამხედრო მომსახურე, ასევე გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის 6 ინსტრუქტორი. გადამზადებული პირები სკოლის მოსწავლეებს არჩევითი კურსის - „თავდაცვა და უსაფრთხოება“ ფარგლებში აუმაღლებენ ცოდნას ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: სამოქალაქო უსაფრთხოება, შესაძლო საფრთხეების წყაროები, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა, პირველადი დახმარების მეთოდები, საქართველოს თავდაცვის სისტემა და თავდაცვის ძალების საქმიანობა“, - ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

ჯარიმა - 50-ის ნაცვლად... 500 ლარი (?)

დამუქებულმინებიანი ავტომობილით მოძრაობაზე ჯარიმა 10-ჯერ იზრდება - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებების პროექტი პარლამენტს ბიუროს საშემოდგომო სესიის პირველივე სხდომაზე წარედგინება. ცვლილების თანახმად, დამუქებული მინების ან შეზღუდული შუქგამტარობის მქონე სატრანსპორტო საშუალების მართვისთვის პასუხისმგებლობა მკაცრდება - სანქციის სახედ 500 ლარის ოდენობით ჯარიმის გადახდა შემოდის მაშინ, როცა აქამდე ის 50 ლარს შეადგენდა.

იზრდება სანქცია აღნიშნული ქმედების განმეორებით ჩადენისთვის და ის ყოველ ჯერზე, ადრინდელი 300-ის ნაცვლად, 1 000-ლარიანი ჯარიმა იქნება.

ამირან გურიელიძე

უკრაინა

უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა ერთ დღეში ოკუპანტებისგან 20-ზე მეტი დასახლებული პუნქტი გაათავისუფლეს, - ინფორმაციას უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი ავრცელებს. მათივე ცნობით, თავდაცვის ძალებმა მოიგერიეს მტრის თავდასხმები მაიორსკაიასა და კრასნოგოროვკას მახლობლად, ხოლო ნიკოლაევკა ვტოროოისა და ზაიცევოს ტერიტორიებზე ბრძოლები გრძელდება. „ხერსონის მიმართულებით თავდაცვის ძალების მიერ განხორციელებული წარმატებული მოქმედებების შემდეგ, მტერმა ცოცხალი ძალის მნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადა. არსებული ინფორმაციით, 810-ე ცალკეულმა საზღვაო ბრიგადამ პირადი შემადგენლობის თითქმის 85% დაკარგა. დანარჩენი სამხედრო მოსამსახურეები უკიდურესად დაბალ მორალურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იმყოფებიან და მასობრივად ამბობენ უარს ომის ზონაში დაბრუნებაზე“, - აცხადებენ გენშტაბში.

* * *

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი რუსეთის მიერ სამოქალაქო ინფრასტრუქტურის დაბომბვას ეხმიანება და აცხადებს, რომ ეს ტეროორისტული აქტებია. „უკუნით სიბნელეშიც კი უკრაინა და ცივილიზებული სამყარო ნათლად ხედავს ამ ტეროორისტულ აქტებს. მიზანმიმართული და ცინიკური სარაკეტო დარტყმები სამოქალაქო კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე... არანაირი სამხედრო ობიექტები“, - წერს ზელენსკი „ტელეგრამზე“. იგი რუსებს მიმართავს, კვლავ ფიქრობენ თუ არა, რომ შეძლებენ უკრაინელების დაშინებასა და გატეხვას. „ისევ გგონიათ, რომ ჩვენ „ერთი ხალხი ვართ“? კიდევ ფიქრობთ, რომ შეგვაშინებთ, გაგვტეხთ, დაგვარწმუნებთ, დათმობაზე წავიდეთ? მართლა ვერაფერი გაიგეთ? ვერ გაიგეთ, ვინ ვართ, რისთვის ვართ და რაზე ვსაუბრობთ? გაზის გარეშე თუ თქვენ გარეშე? თქვენ გარეშე. სინათლის გარეშე თუ თქვენ გარეშე? თქვენ გარეშე. წყლის გარეშე თუ თქვენ გარეშე? თქვენ გარეშე. საჭმლის გარეშე თუ თქვენ გარეშე? თქვენ გარეშე. სიცივე, შიმშილი, სიბნელე და წყურვილი ჩვენთვის არ არის ისეთი საშინელი და მომაკვდინებელი, როგორიც თქვენი „მეგობრობა და ძმობა“. მაგრამ ისტორია ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს და ჩვენ ვიქნებით გაზით, დენით, წყლით და საკვებით... და თქვენ გარეშე!“, - წერს ზელენსკი.

* * *

ლუგანსკის ოლქის დეოკუპირებულ სოფელ კუზემივკას თავზე უკრაინის დროშა აღიმართა, - ამის შესახებ ლუგანსკის საოლქო-სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სერჰი გაიდაი იუწყება. აღსანიშნავია, რომ კუზემივკა ოკუპირებულ ქალაქ სვატოვოდან 25 კილომეტრში მდებარეობს. შეგახსენებთ, უკრაინის გენერალურმა შტაბმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ხარკოვის მიმართულებით უკრაინის ჯარების წარმატებული კონტრშეტევის შედეგად რუსი ოკუპანტები პოზიციებს ტოვებდნენ და დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე ან რუსეთში გარბოდნენ.

* * *

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი აცხადებს, რომ ამ დროისთვის რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან მოლაპარაკებებს არ აპირებს. მისი თქმით, რუსეთის სტრატეგია იყო უკრაინის გარკვეულ ნაწილებში შეჭრა, დისკუსიებითა და შეთანხმებებით დროის მოგება, ძალის მოკრება და ახალი შეჭრის დაწყება. ახლა უკრაინის მთავარი მიზანი ყველა ოკუპირებული ტერიტორიის დაბრუნებაა. „მე ვერ ვხედავ მათგან კონსტრუქციულობის სურვილს. რაც შეეხება მათ ულტიმატუმებს, არ მაინტერესებს, ვინ წამოაყენა ეს ულტიმატუმები - პუტინმა თუ ვინმე სხვამ. ეს არის ჩემი პრინციპი: არ დაველაპარაკები მათ, ვინც ულტიმატუმებს მიყენებს“, - აღნიშნა პრეზიდენტმა. მისი თქმით, რუსეთთან მოლაპარაკებების დაწყება მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, რაც აგრესორი უკრაინის ტერიტორიიდან თავის ჯარებს გაიყვანს.

* * *

გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ხელმძღვანელ მაიკლ როტის განცხადებით, დასავლეთმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ უკრაინას გამარჯვების მიღწევაში დაეხმაროს. „ომის ამ ახალ ფაზაში უკრაინას სჭირდება იარაღი, რომელიც მას საშუალებას მისცემს, გაათავისუფლოს რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები და მუდმივად შეინარჩუნოს ისინი მის კონტროლქვეშ. დასავლეთმა, კერძოდ, აშშ-მა, გერმანიამ, საფრანგეთმა და პოლონეთმა მჭიდრო კოორდინაცია სწრაფად უნდა მოახდინოს და მიწოდება ახალ ვითარებას უნდა მოარგოს“, - განაცხადა როტმა. მისი თქმით, სულ უფრო რეალური ჩანს, რომ უკრაინას შეუძლია მოიგოს ეს ომი და მოიგოს როგორც თავისუფალმა, დემოკრატიულმა ქვეყანამ ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებით.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

42 ქვეყანაში მოგზაურობილან - ფერმამდე

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

დავით გოროზია ახალგაზრდა მოგზაურია, რომელმაც 42 ქვეყანა მოიარა. მისი მთავარი მიზანი და ამოცანა, ერთი მხრივ, სხვადასხვა ქვეყნის კულტურისა და ყოფაცხოვრების გაცნობა იყო და, მეორე მხრივ, მოტივაციისა და შთაგონების ძიება. ერთ-ერთი გადაწყვეტილება, რაც ამ მოგზაურობისას მიიღო, სასოფლო-სამეურნო საქმიანობის დაწყებაა, რაც მალევე აქცია რეალობად.

- გვიამბეთ მოგზაურობის შესახებ - როგორ და საიდან დაიწყეთ?

- ყოველთვის მინდოდა დედამიწის გარშემო მოგზაურობა, თუმცა, მოგეხსენებათ, ეს რამხელა თანხებთანაა დაკავშირებული. ამ მიზეზით ბევრჯერ გადაიდო ჩემი გამგზავრება, მაგრამ ბევრი შრომისა და მონდომების შემდეგ ეს ნანატრი დღეც დადგა - ავიღე ბილეთი და გავემგზავრე იტალიაში, ასე დაიწყო ჩემი ვოიაჟი.

- სასოფლო-სამეურნეო მიმართულება რატომ აირჩიეთ?

- ეს არის ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და საჭიროა როგორც ქვეყნისთვის, ასევე, რა თქმა უნდა, თითოეული ადამიანისთვის. როგორ წარმოგიდგენიათ ამ დარგის გარეშე ჩვენი სამშობლო, თუნდაც მთელი მსოფლიო?!

- რამდენად მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით განვითარება და რა არის ამისთვის საჭირო?

- 42 ქვეყანაში ვიმოგზაურე. შეიძლება არ იყოს სწორი საქართველოს შედარება შვეიცარიასა და ნორვეგიასთან და იმედიც, რომ უახლოეს წლებში ჩვენთანაც მათ მსგავსად აღორძინდეს სოფლის მეურნეობა, ნაადრევია, თუმცა ამის დიდი პოტენციალი გვაქვს. ჩემი აზრით, სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის აუცილებელია, ადამიანებს მიწის დამუშავებასა და შემდეგ პროდუქციის რეალიზებაში სახელმწიფო დაეხმაროს, როგორც ეს ევროპულ ქვეყნებშია. რეგიონში უნდა იყოს სხვადასხვა პროდუქტის საწარმოები, მეურნემ კი იცოდეს, რომ რასაც მოიყვანს, იმის რეალიზებას შეძლებს. სახელმწიფომ უნდა აკონტროლოს მეურნის საქმიანობა, რათა არ მოხდეს გადაცდომა. ასევე, სახელმწიფომ უპროცენტო კრედიტი უნდა გასცეს სტარტაპისთვის. ყველაზე მეტად დახმარება დამწყებს სჭირდება. ამით არაერთ ადამიანს გაუჩნდება სოფლის მეურნეობაში ჩაბმის სტიმული. გარშემო ბევრი ადამიანია, ვისაც ჰექტრობით მიწები აქვს დაუმუშავებელი. სახელმწიფოს მხრიდან დახმარება ძალიან მნიშვნელოვანი, გადამწყვეტიც კია.

- თავად თუ ხართ ჩართული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში?

- სადაც ვცხოვრობ, ჩემს ეზოში 600 კვადრატული მეტრი მიწის მაქსიმალურად ათვისება დავიწყე. დავბარე და გავაკეთე ბოსტანი. რაც დრო გადის, მეტი იდეა მოდის. მწვანილის დათესვით დავიწყე, შემდეგ „გარდენიაში“ ვიყიდე პომიდვრისა და კიტრის ჩითილები, დავამუშავე მიწა, სადაც უნდა გადავრგო. უძვირფასესი ადამიანის, ზურა შევარდნაძის რჩევების შესაბამისად დავთესე ბულგარული წიწაკა, ბროკოლი, ყაბაყი, ჭარხალი, სტაფილო, ხახვი. ვცდილობ, გოჯი მიწაც არ დარჩეს დაუმუშავებელი. აივანიც ავითვისე - ვიყიდე ქოთნები, სადაც პატარა პომიდვრის - ჩერის მოყვანას შევძლებ. თითქმის ყველა სახეობის ხეხილის, რაც მაქვს ეზოში, მოვლა დავიწყე.

- რას ეტყოდით მათ, ვინც ახლა იწყებს ამ მიმართულებით მუშაობას?

- დამწყებთ ვეტყვი, რომ რისი შესაძლებლობაც აქვთ, მაქსიმალურად გამოიყენონ.

- თქვენი გეგმები...

- მსურს სათბურის და საქონლის ფერმის გაკეთება. ეტაპი, რასაც ახლა გავდივარ, არის ყოველდღიურად პრაქტიკული და თეორიული ცოდნის შეძენის, სწავლისა და ახლის ძიების პერიოდი, რაც, დარწმუნებული ვარ, ჩემს ცხოვრებას წაადგება.

„ყოველ ადამიანს შესწევს ძალა, შეცვალოს აწმყო“

მე-5 გვერდიდან

- ახალგაზრდები რამდენად გაცნობიერებულნი არიან ევროპულ ფასეულობებში? მით უფრო, რუსული პროპაგანდა მთელი მსოფლიოს პრობლემაა...

- მართლაც აქტუალური თემაა დღეს ეს, და ჩვენმა გუნდმა პროექტიც ძირითადად ამ თემატიკაზე ააგო. მთელი ფორუმის განმავლობაში ახალგაზრდები თავიანთ ტრენერებთან ერთად განიხილავენ საქართველოში მიმდინარე პროცესებს, ყველა პრობლემას. რა თქმა უნდა, აქ, პირველ რიგში, მოიაზრება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა. მხოლოდ ერთი ნაბიჯი არ იქნება, რასაც ჩვენ გავაკეთებთ, სამომავლოდაც არაერთ ღონისძიებას ვგეგმავთ ცნობიერების ამაღლების კუთხით, ვაპირებთ, მოკლე ვიდეოებიც გამოვაქვეყნოთ. შესაძლოა, ყველას ხმა ვერ მივაწვდინოთ, მაგრამ ცდას არ დავაკლებთ.

- დაბოლოს, ამ ეტაპზე რა მიგაჩნიათ ახალგაზრდების მთავარ გამოწვევად, რომელთა უპირველესად გადაჭრა აუცილებლია?

- ვფიქრობ, მთავარი გამოწვევა მოტივაციის, წახალისებისა და შანსის არარსებობაა. დღევანდელი ახალგაზრდობა ნაკლებად მოტივირებულია, არადა, მოტივაცია აუცილებელია, რათა ახალგაზრდა შემართებით შეებრძოლოს გამოწვევებს, დაისახოს მიზანი, რომლის საფუძველზეც მიაღწევს წარმატებას. მათ არანაირი შანსი არ ეძლევათ მოტივაციის ასამაღლებლად, ვფიქრობ, ყოველი ახალგაზრდა იმსახურებს შანსს, რომელიც დღეს, ფაქტობრივად, ძალიან მწირია, რეალობას თვალი რომ გავუსწოროთ, ახალგაზრდები, რიგ შემთხვევაში, იმდენად იჩაგრებიან, რომ საბოლოოდ ეს მათთვის დამღუპველიც კი არის. ჩვენი ამოცანაა, რომ ახალგაზრდებს მივცეთ შანსი, ჩაერთონ ღონისძიებებში, ტრენინგებსა თუ ფორუმებში, გავუღვივოთ იმედი, რათა მომავალში თვითონვე გააკეთონ ისეთი რამ, რაც ახალგაზრდების მოტივაციის წყარო გახდება.

ნოდარ ბარამიძე, ონისე სურმანიძე, ამირან მამულაძე, ვლადიმერ მამულაძე, სერგო დუმბაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ნოდარ ანტონის ძე ბარამიძე
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა ბაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 12/09/22, 21 35 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

86-ე თეატრალური სეზონის გახსნა - ფერადი ემოციებისა და დაუვიწყარი შთაბეჭდილებების თანხლებით

ნანა აბულაძე 577 20 35 90

- ბებო, შეხედე, რამხელა თოჯინაა, ასეთი არასდროს მინახავს, მინდა ხელში ამიყვანოს და ჩავეხუტო.

- ეს ხეტიალაა, ბებო, სპექტაკლის პერსონაჟი, რომელიც ძალიან მიყვარდა ბავშვობაში. ხელში ვერ აგიყვანს, შეიძლება წელი ატკივდეს და უნდა გავუფრთხილდეთ.

- მაშინ ხელზე მოვეფერები და შენ ფოტო გადამიღე...

შეუძლებელი იყო გვერდი ამევლო „ხეტიალათი“ ერთნაირად აღფრთოვანებული ბებიისა და შვილიშვილის დიალოგისთვის, თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის ეზოში, სადაც 86-ე თეატრალური სეზონი საზეიმოდ გაიხსნა. ბათუმელების ემოციები კიდევ უფრო გაამძაფრა კახაბერ ცისკარიძის მიერ წარმოდგენილმა თეატრალიზებულმა ნომერმა, სადაც მის სიმღერებზე აცეკვებული თოჯინები ვიხილეთ. ამ ცერემონიის შემდეგ, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ირაკლი კიკვაძემ სტუმრები დარბაზში მიიპატიჟა საპრემიერო სპექტაკლზე „იავნანამ რა ჰქმნა?!“, რომელიც რეჟისორმა და თოჯინების თეატრების გაერთიანების ხელმძღვანელმა ნიკოლოზ საბაშვილმა დადგა.

- აღსანიშნავია, რომ ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრსა და თოჯინების თეატრების გაერთიანებას შორის მემორანდუმი გაფორმდა. მიხარია, რომ დაიწყო ჩემი ამ თეატრთან თანამშრომლობა, შევხვდი არაჩვეულებრივ მსახიობებს, თავისი საქმის პროფესიონალებს. მადლობა თეატრის თითოეულ წევრს, ტექნიკურ თუ შემოქმედებით ჯგუფს და, რა თქმა უნდა, სამხატვრო ხელმძღვანელს, ბატონ ირაკლი კიკვაძეს, რომელმაც მომცა საშუალება, ამ არაჩვეულებრივ თეატრში შემოვსულიყავი. აქედან დაიწყება ჩვენი როგორც შემოქმედებითი, ისე პიროვნული მეგობრობა. აღნიშნული მემორანდუმის მიზნები და მისწრაფებები დიდია, რაც მალე გამოჩნდება ურთიერთთანამშრომლობაში, საზოგადოება ძალიან მალე დაინახავს ამ ყველაფრის შედეგს. პირველ რიგში, ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრს შესაძლებლობა ექნება, ჩაერთოს ყველა იმ პროექტსა თუ ღონისძიებაში, რომელშიც გაერთიანებაში შემავალი თეატრები მონაწილეობს. ასევე, ბათუმის თეატრს ყველა რეგიონში ექნება ის არენა, სადაც შეეძლება მივიდეს და ითამაშოს. მემორანდუმის ფარგლებში, ძალიან ბევრ საკითხზე დავიწყეთ მუშაობა, მათ შორის იმაზე, თუ როგორ მოვიზიდოთ ახალგაზრდები, ასევე, პროფესიონალები. მიმაჩნია, რომ საქართველოში ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ ამ დარგის განვითარებაზე. რაც შეეხება სპექტაკლს „იავნანამ რა ჰქმნა?!“, ერთობლივი მსჯელობის შედეგად შევარჩიეთ, მიგვაჩნია, რომ იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოებებმა უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენი ცნობიერების ჩამოყალიბებაში. მართალია, პროგრამულად ბავშვები სკოლაში გადიან ამ ნაწარმოებს, მაგრამ მინდა თეატრის საშუალებით კიდევ უფრო სიღრმისეულად აღიქვან და გაიცნონ იაკობ გოგებაშვილი. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან სასიამოვნო იყო ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის დასთან მუშაობა. ძალიან ბევრი მსმენოდა, რომ აქ იყვნენ პროფესიონალი მსახიობები და ამაში თავადაც დავრწმუნდი, როცა ცხელი ზაფხულის პერიოდში ამ ადამიანებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ თავიანთი პროფესიონალიზმი სააშკარაოზე გამოეტანათ. ძალიან კომფორტული ადამიანები არიან ამ თეატრში და მადლობა ამისთვის მათ. კვლავაც დიდი სიამოვნებით ვიმუშავებ მათთან, -აღნიშნა ნიკოლოზ საბაშვილმა.

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის 86-ე თეატრალური სეზონის გახსნაზე მისულ საზოგადოებას მადლობა გადაუხადა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ირაკლი კიკვაძემ. მისი თქმით, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ თეატრი არა მარტო ბავშვებისა და მოზარდებისთვის, არამედ ნებისმიერი ასაკის ადამიანისთვისაც იყოს ის სივრცე, სადაც სასიამოვნო ემოციებს მიიღებს.

- პირველ რიგში, მინდა დავიწყო გიგანტური ისტორიული თოჯინით, რომელმაც ჩვენთან ერთად, ერთგვარი მასპინძლობა გაუწია თეატრში მოსულ თითოეულ სტუმარს. „ხეტიალა“ გახლავთ ზღაპრული გმირი სპექტაკლისა, რომელიც 1981 წელს, უკვე სახელმწიფო თეატრში პირველად გაიმართა და რომლის რეჟისორიც გივი სარჩიმელიძე იყო. მას შემდეგ 41 წელი გავიდა. მიმაჩნია, რომ ჩვენი სიძლიერე ჩვენს ისტორიაშია, სწორედ ამიტომ მოვიძიეთ ის თოჯინა რომელიც 41 წლის წინ ართობდა ბავშვებს. გიგანტური „ხეტიალა“, რომლის სიგრძე 6,50 მეტრია, გია გოგიტიძემ რამდენიმე დღეში შექმნა, რისთვისაც მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მას. ორი თვეა, რაც ვმუშაობ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად და ასე გაცნობიერებული არ მქონია ეს პასუხისმგებლობა, როგორც დღეს. მინდოდა ეს ყოფილიყო არა მარტო პრემიერის და ახალი სეზონის გახსნის ღონისძიება, არამედ დასამახსოვრებელი დღე თეატრში მოსული თითოეული ადამიანისათვის. მინდა მადლობა გადავუხადო ნიკოლოზ საბაშვილს არაჩვეულებრივი სპექტაკლის დადგმისთვის, მსახიობებს - არაჩვეულებრივი შესრულებისთვის, კახაბერს - უნიკალური შოუსთვის. ბედნიერი ვარ, რომ ვგრძნობ ადამიანების მხარდაჭერას, რაც მაძლიერებს და უფრო მეტ მოტივაციას მაძლევს. გპირდებით, 86-ე თეატრალური სეზონი აუცილებლად სიახლეებითა და პრემიერებით იქნება დატვირთული, - განაცხადა ირაკლი კიკვაძემ.

თეატრსა და მისადმი დამოკიდებულებაზე გვესაუბრა კახაბერ ცისკარიძე, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, საკუთარ სიმღერებზე შექმნილი თეატრალიზებული ნომრით წარსდგა მაყურებლის წინაშე.

- დავიწყებ მილოცვით: საინტერესო და ნაყოფიერი ყოფილიყოს 86-ე სეზონი თეატრისთვის, რომელთანაც მთელი ბავშვობა მაკავშირებს. 2018 წელს თოჯინების მონაწილეობით გადავიღეთ მუსიკალური რგოლი „ქალის სურვილი“, რომელიც „კახაბერი და ხანუმების“ ალბომშია შესული. თუშურ სიმღერაზე გადავიღეთ კლიპი თოჯინების მონაწილეობით, რომელიც 30 წელია ასეთი ფორმატით არ გადაღებულა. ბედნიერი ვარ, რომ მოხდა ჩვენი და თოჯინების თეატრის კოლაბორაცია, რაც მომავალშიც გაგრძელდება. თეატრს და უნიჭიერეს მსახიობებს თქვენი გაზეთის საშუალებით კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას. ვფიქრობ, თეატრს უდიდესი როლი ენიჭება ბავშვის ცნობიერების ჩამოყალიბებაში, ამიტომ უფრო და უფრო მეტი შეგვის ძალიან დიდი გამოცდილება იყო.

- ცხელი ზაფხულის მიუხედავად, მუშაობა ძალიან მშვიდ და სასიამოვნო გარემოში მიმდინარეობდა - ძალიან კომფორტულია ბატონ ნიკოლოზთან მუშაობა. მიხარია, რომ თითოეული მაყურებლის გულამდე მივიდა ქეთოს სევდიანი ამბავი, თუმცა - ბედნიერი დასასრულით. მსახიობისთვის მაყურებლისგან წამოსული გულწრფელი ემოცია უდიდესი მოტივაციაა. თქვენ ჩვენ გვაძლიერებთ, - გვითხრა მსახიობმა.

სპექტაკლში ასევე მონაწილეობდნენ მსახიობები: კოკა ხუბუტია, მამუკა მანჯგალაძე, თედო ტუღუში, ნინო დავითაშვილი, სალომე ცაგურია, მინდია ჩოხარაძე, გელა გელაძე, რევაზ ხოფერია, ქეთევან ეგუტიძე. როგორც აღვნიშნეთ, სპექტაკლის რეჟისორი ნიკოლოზ საბაშვილია, რომელსაც ასევე ეკუთვნის ინსცენირება და მუსიკალური გაფორმება. სპექტაკლის მხატვარი ვახტანგ ქორიძე გახლავთ, ხოლო რეჟისორის თანაშემწე - ნანა თოლორდავა.

თოჯინური სპექტაკლის საპრემიერო ჩვენებები, რომელიც 5+ ასაკის მაყურებელზეა გათვლილი, მთელი თვის განმავლობაში გაგრძელდება. ბილეთის შეძენა მსურველებს როგორც ონლაინ biletebi.ge-ს საშუალებით, ისე თეატრის სალაროში შეუძლიათ.

მსოფლიოს ნომერ პირველი ჩოგანი...

გუშინ, გამთენიისას, აშშ-ის ღია პირველობის ფინალური მატჩი კასპერ რუდსა და კარლოს ალკარასს შორის ესპანელის გამარჯვებით - 6:4, 2:6, 7:6, 3:6 დასრულდა. 19 წლის ჩოგბურთელი დიდი სლემის გამარჯვებული პირველად გახდა და რეიტინგში პირველი ადგილიც დაიკავა.

კარლოსი პირველი ჩოგბურთელია, ვინც 19 წლის ასაკში გახდა პირველი ჩოგანი. აქამდე რეკორდი ავსტრალიელ ლეიტონ ჰიუიტს ეკუთვნოდა, რომელმაც აღნიშნულს 20 წლისა და 9 თვის ასაკში მიაღწია.

ამირან გურიელიძე

კვარაცხელიას კომენტარი - შოტლანდიურ მედიასთან

ხვიჩა კვარაცხელიამ ჩემპიონთა ლიგაზე „რეინჯერსთან“ მატჩის წინ კომენტარი შოტლანდიურ Daily Record-თან გააკეთა:



„ჩემპიონთა ლიგაზე ასპარეზობა ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნებაა. ჯერ ნაადრევია იმაზე საუბარი, გავალთ თუ არა ჯგუფიდან, მაგრამ ცდას არ დავაკლებთ. ევროპის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ კლუბ „ლივერპულის“ ძლევით ბედნიერები ვართ, თუმცა ეს უკვე წარსულია.

ახლა „რეინჯერსთან“ შეხვედრაზე გვმართებს სრულად კონცენტრაცია. ისინი მასპინძლები არიან და რთული თამაში გველის. კარგად ვიცით, როგორი მხარდაჭერა ექნებათ და ჩვენს წნეხის ქვეშ მოსაქცევად ყველაფერს გააკეთებენ. საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ვართ და გამარჯვების იმედი გვაქვს“.

მატჩის დღე შეიცვალა!

UEFA-ს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მეორე ტურში „ნაპოლი“ სტუმრად გლაზგოს „რეინჯერსს“ უნდა შეხვდეს. შეხვედრა დღეის ნაცვლად ხვალ - 14 სექტემბერს, 23:00 საათზე დაიწყება. ინფორმაცია ნეაპოლური კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა დაადასტურა.

თამაშის 1 დღით გადადების მიზეზი ბრიტანეთის პოლიციის დეპარტამენტის შეზღუდვებია - დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II-ის გარდაცვალების გამო ეროვნული გლოვის ღონისძიებები გაიმართება.

ამირან გურიელიძე